სახალხო გაზეთი

№ 921 სამშაბათი, 18 ივნისი 1913 წ. № 921

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირებს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.

ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი თიბათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **5 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

---

15 ივნისს, დილის 5 საათზე, გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ

ივანე გრიგორის ძე მჭედლიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს მეუღლე მისი **ანნა დიმიტრის ასული**, შვილები: **ნინო ჩიკვაიძისა, ბარბარე კანტიძისა, და ივანე მჭედლიშვილი**, სიძე **ანტონ კანტიძე** და ცოლის ძმა **გრიგოლ დიმიტრის ძე ელიზბაროვი**. გამოსვენება 18 ივნისს, დილის 9 საათზე, საკუთარ სახლიდან კათოლიკეთა ქუჩა აბას-აბათის მისახვევი № 12, სამების ეკლესიაში. 370

ნინო გიორგის ასული შვილებითურთ, გიორგი იოანეს ძეს, ანასტასია იასეს ასული და ეფემია იოანეს ასული ლომაურნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ქმარი, 14 გრენადერთა ქართული პოლკის მოძღვარი

დეკანოზი მ. იოანე ლომაური

376

---

16 ივნისს, ღამის 11 საათზე, ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეკატერინე მიხეილის ასული ხუროშვილისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე მისი ნიკოლოზ ზაქარიას ძე ხუროშვილი**, დედამთილი **სოფიო** და რძალი **მარიამ**, მული **ნინო ზაქარიას ასული ნიჟარაძისა**; მშობლები **ნინო** და **მიხეილ**, ძმები **გიორგი** და **ვანო**, დაი **ვერა** და რძალი **ირინე**. პანაშვიდი 19 ივნისს, საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ 19 ივნისს, დილის 10 საათზე, საკუთარი სახლიდან, გოგოლის ქუჩა 61, წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. 373

პირველ-ხარისხოვანი
დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან ნ. ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

დღეს, 18 ივნისს, 1913 წ.

გაიმართება

არაჩვეულებრივი წარმოდგენა.

მონაწილეობას იღებენ რუსისა და საზღვარ-გარეთის პირველ-ხარისხოვანი მსახიობები. დღეს ბევრი ახალი დებიუტები. 2 დებიუტი პოპულიალურ მატროსიულ, **ბოსეცკის**, ველიკოროსიულ და ლალაიშელ კაპელის **ბ. ანდრეევის** ხელმძღვანელობით. უკანასკნელი გასტროლი გამოჩენილ **ბულგარელ ქალის თამარისა**. თამარას გამოსვლა ი ნება 10-ნახევარ საათზე. უკანასკნელი გასტროლი გერმანელ იობ ს ბ. **ადოლფისა**. დღესვე გამოდის პირველ-ხარისხოვანი ბალეტი, დაჯილდოებული ლამაზი ქალის ქ. ა. **ექსისა**. მონაწილეობას იღებს ტფილისელების საყვარელი მასხარა და სადღესოდ იუმორისტი **პრ. ვინჩენცო**.

დასაწყ. სახ. 8 ს. დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

გამგე **ლ. მ. ზუნდაძე.**

364

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
ძმ. ტარნოპოლებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოთ 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის
კიესა ,,მეგობრობა“,

დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ზუბალაშვილების სახელობის ქალაქის სახალხო სახლთან არსებული ქართულ სახალხო წარმოდგ. მმართველი წრის გამგეობა ამით აცხადებს, რომ

საზოგადო კრება,

რომელიც 9 ივნისს არ მოხერხდა, დანიშნულია 18 ივნისს საღამოს 6 საათზე იქვე—ზუბალაშვილის სახალხო თეატრის შენობაში. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) გამგეობის ანგარიში მამავალ წლისა, 2) გამგეობის მოხსენება წესდების ზოგიერთ მუხლის ცვლილების შესახებ, 3) გამგეობის მოხსენება ქართ. სახ. წარმოდგენების უკეთესად მოწყობის შესახებ, 4) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1913/14 წ., ახალი წევრების დამტკიცება, არჩევა ახალი გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიისა.

ვისაც სურს **1912/3 წ. ანგარიშების მიღება**, ვთხოვთ ამისათვის მიბრძანდნენ წრის კანტორაში (მიხეილის ქუჩა, სახ. № 102 ბინ. 8) ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათამდე. (1160)

ტფილისის სავაჭრო ბანკის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ფინანსთა მინისტრის მიერ 30 ნოემბერს 1912 წ. დამტკიცებულისა და „მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში“ 20 დეკემბერს 1912 წ. გამოქვეყნებულ წესდების ძალით, ამ წლის **18 ივნისიდან დაიწყებს მოქმედებას**

ტფილისის სავაჭრო ბანკი

და აწარმოებს წესდებით ნებადართულს ყოველგვარ ოპერაციას.

ბანკი დროებით მოთავსებულია სერგიევის ქუჩა № 8.

1355

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები**:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2 3 ს **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე [illegible] **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. —1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ბედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 0 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606“ და ,,914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

სამკურნალო ტალახი
,,ახტალა“

(ტფილისის გუბერნ., სიღნაღის მაზრა, **სოფ. გურჯაანში**).

სეზონი იწყება 15 ივნისს, თავდება 20 აგვისტოს.

მკურნავს ქარებისა, კანისა (ეგზემა, ქეცი და სხ., ნერვებისა და სხვა ავადმყოფობას.

იქვე შეიძლება ზოვნა ბინებისა, მოწყობილობილობით. ფასი მთელი სეზონით სულზე 2 მან., ბავშვები უფასოდ. სოფელში არის **ქსენონი და ექიმი.**

ცნობებისათვის მიმართეთ: (წერილობით ან პირადით): ტფილისში, ველიკოკნიაზის ქ., № 15, **გენერ. თ-დ მაყაშვილს**; ადგილობრივ კი ტალახების **გამგეს**. 1353

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარ. და. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1 1/2 ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოხელიძისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის **50 კ.**

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606“-ით

1053

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ცივდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

ექიმი ივ. გომართელი

პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **ხაშარდი** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.: **ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ.**, № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, **საფოსტო განყოფი.** პირდაპირ. 102

ვისარგებლოთ შემთხვევით

ამ დღეებში ტფილისს ძრავლად მოაწყდა რუსეთის ინტელიგენცია. ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მეცნიერთა კრების დიდი უმრავლესობა არაკავკასიელებისაგან შესდგება. ესენი ჩამოსულან შორს მდებარე, განაპირა ქვეყანაში მხოლოდ ერთი წმინდა სურვილი: მათ ჩვენის ქვეყნის ყოველ მხრივი გაცნობა სურთ. ჩვენც, რა თქმა უნდა, რითაც კი შეგვეძლება, ხელი უნდა შევუწყოთ მათს ასეთ სურვილს. უნდა ვისარგებლოთ, გავაცნოთ ჩვენ სტუმრებს ჩვენი თავი, დავანახვოთ, რომ ჩვენც ხალხი ვართ და ქუდი გვხურავს, ჩვენი საკუთარი თავისებური და მრავალფეროვანი კულტურა გვაქვს, რომ საქართველო „მდევებისა და მხეცების“ ქვეყანას კი არ წარმოადგენს, არამედ კულტურულ მხარეს, რომელსაც დიდი წარსული, აწმყო და მომავალი აქვს...

აი, სწორედ, ახლა მოგვეცა მარჯვე შემთხვევა ამ უცოდინარობასთან შებრძოლებისა. ასეთი მარჯვე შემთხვევა მეორედ ისე ძალიაც ადარ მოგვეცემა, ასეთს მრავალრიცხოვანს, რუსეთის ყოველი კუთხიდან მოსულს ინტელიგენციას ჩვენი ქვეყანა ძალიე ვეღარა ნახავს...

ჩვენ კი ამ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, სრულ დაუდევრობას ვიჩენთ, არავითარ საშუალებას არა ვღონობთ, რომ შორეულ სტუმრებს ჩვენი თავი გავაცნოთ, ჩვენი კულტურის წიგნის საუკეთესო ფურცლები გადავუშალოთ. ნუ გავიწყდება, რომ—სხვა არა იყოს-რა **სხვები აცნობენ** ჩვენს ქვეყანას მოსულთ და, რა თქმა უნდა, ნებით თუ უნებლიეთ, უხეიროდ აცნობენ... თითოეულ მოსულს ხელში უჭირავს ძალზე სუსტად და ხშირად ტენდენციოზურადაც შედგენილი **Путеводитель по Тифлису**“. ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ გამართულმა საღამომ ხომ სულ დავთარი აურია სტუმრებს.

ჩვენ კი...

ჩვენ—ვიმეორებ—მხოლოდ... შორიდან ვუცქერით მოსულებს, განზე ვდგევართ.

ქართველ მომხსენებლებს სექციებში იშვიათად თუ შეხვდებით, საზოგადო კრებებზე ხომ სულაც ვერა ნახავთ...

ექსკურსანტები რომ ქალაქს ათვალიერებენ, ქართველ ხელ მძღვანელს მათ შორის ვერც კი დაინახავთ... ყველგან, ყველაფერში იგივე გულ-გრილობა, დაუდევრობა, სიზარმაცე...

მერე კი გავჯავრდებით, თუ სტუმრებმა უცოდინარობით ჩვენზე ურიგო რამ სთქვეს.

შემთხვევით ვისარგებლოთ! გავაცნოთ მოსულთ ჩვენი თავი, დავანახვოთ, რომ ქართველი ერი—კავკასიას უკულტურესი ერია, ყველაფრით დაჯილდოვებული. გავაცნოთ ჩვენი მწერლობა, ისტორია, მუსიკა... ნუ იტყვით. თითქოს ამისთვის ძალა არ შეგვწევდეს. წერა-კითხვის საზოგადოება, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება, ქართ. კულტ. მოყვარ. საზოგადოება და სხვანი, ყველა მოვალეა თავის სფეროში გააკეთოს რამე ამ მიზნისათვის. გარდა ამისა განა ამავე „ქართულ კლუბს“ საკმაო შეძლება არ აქვს სხვა და სხვა ლექციისა, თუ ეროვნული საღამოების მოსაწყობად!ეს ხომ მის ერთგვარ მოვალეობასაც შეადგენს?

მართალია, უკვე გვიანაა, მაგრამ ანდაზისა არ იყოს „სჯობს ისევ გვიან, ვიდრე არაოდეს“.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** დღეს ბათომიდან ტამბოვის გუბერნიაში, თავის მამულში, მიემგზავრება.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** საუწყებათა შორისო კომისიის კრებები გუშინ დაიწყო მეფის მოადგილის საბჭოს სადგომში.

◆ ამას წინად დაპატიმრებული სტუდენტი **შ. აგლაძე** უკვე გაანთავისუფლეს.

◆ **ტრამვაის** დირექტორმა ხელახლა განკარგულება გასცა, რათა სამართალში მისცენ ის პირნი, რომელნიც გაქანებულ ვაგონზე შეხტებიან, ან გადმოხტებიან.

◆ **ექსკურსია.** 14 ივნისს ტფილისში ჩამოვიდნენ ნოვგოროდის გიმნაზიის მოსწავლენი, რომელთაც დაწვრილებით დაათვალიერეს ღირსშესანიშნავი ადგილები. ექსკურსანტები დღეს ბაქოს მიემგზავრებიან.

◆ მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის კურსებზე მოწვეულ მასწავლებლების გამოცდა თხუთმეტ ივნისს დამთავრდა. მეაბრეშუმეობაზე ცხრა კაცი იყო, მეფუტკრეობაზე—ექვსი. ამათში სამმა ქართველმა საუკეთესო ნიშნები მიიღო გამოცდის დროს.

◆ წელს ტფილის კადეტთა კორპუსში 47 ყმაწვილმა სწავლა დაასრულა; ამათში ათი ქართველია: ირაკლი ავალიანი, მიხეილ ასათიანი, თავ. ალ. ვაჩნაძე, თავ. ვლ. ვაჩნაძე, ვლ. კიკნაძე, მიხ. მაჩაბელი, უგ. თავ. ალ. გრუზინსკი, ვლ. მაჭავარიანი, ალ. ნაცვლიშვილი, იოსებ კობახიძე.

◆ **ექსკურსია.** 16 ივნისს ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურენი მცხეთას გაემგზავრნენ, სადაც დაწვრილებით დაათვალიერეს არმაზის მონასტერი და სხვა შესანიშნავი ადგილები. ამავ დღეს, საღამოს, ექსკურსანტები ტფილისს დაბრუნდნენ.

◆ **ჟურნალისტი ლევან ყიფიანი** ამ ჟამად ავად არის. ავადმყოფი წევრს არამიანცის სახელობის საქალაქო საავადმყოფოში. სამის დღის წინად მას ღვიძლის ახლოს აპერაცია გაუკეთეს, რომელიც ავადმყოფმა კარგად გადაიტანა. მას კიდევ 2—3 თვეს მოუხდება საავადმყოფოში წოლა.

◆ **საბირჟო ცნობები.** 17 ივნისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა,

აფასებენ - 85 მ. 50 კ., მყიდველები არ იყვნენ; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მ. 25 კ., აძლევენ—82 მან. 75 კ. და ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილ-მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მ. 25 კ., აძლევენ—80 მ. 25 კ.

◆ რედაქციამ მიიღო „თემი"-ს რედაქციის მიერ გამოცემული **„მზის სიცილი", ლექსები ს. აბაშელისა.** წიგნი შუათანა ზომისაა; შიგ მოთავსებულია თითქმის ყველა დღემდე დაწერილი ლექსი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტისა, მისი მოკლე ბიოგრაფიითა და ბ. გომართლის კრიტიკული წერილით. ყურადღებას იმპყრობს წიგნის გარეგანი სახე იშვიათი სილამაზითა და მხატვრული უბრალოებით. მიუხედავად ამისა, წიგნი ძლიერ იაფია—ათ შაურად ღირს.

◆ **ბესარიონ ქებურიას ფრენა.** 16 ივნისს დიდუბეში დანიშნული იყო ბ. ქებურიას ფრენა. ნაშუადღევიდანვე ძლიერმა ქარმა დაუბერა მაგრამ 5 საათზე მოედანზე ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. მიუხედავად იმისა, რომ ფრენა პოლიციის მიერ ნებადართული იყო, არც ერთი მცველი არ მოსულა და ხალხი თავისუფლად შედიოდა შემოფარგლულ ადგილში. ბ. ქებურია საღამოს 7 საათზე აფრინდა, აფრინდა კოხტად და სხარტად, თუმცა მოტორი თავიდანვე ცუდად მუშაობდა. ხალხი აღტაცებით უყურებდა და ტაშისცემით და ვაშას ძახილით ეგებებოდა ყოველის მხრით. მფრინავმა სამი ვეებერთელა წრე შეჰკრა; მეოთხეჯერ თხუთმეტი წუთის ფრენის შემდეგ, მატორი გაუჩერდა და იძულებული გახდა ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებთან დაშვებულიყო. მაგრამ იქ დასაშვები ადგილი სრულიად არ არის, რკინის გზის ლიანდაგებზე მატარებლები დადის და ჰერშიც მავთულებია ათასნაირად დახლართული. 30 მეტრის სიმაღლიდან ჰაეროპლანი დაეშვა ძირს და ალვის ხეების შუა გაეხირა. მფრინავი ოთხი საჟენის სიმაღლიდან სწრაფად გადმოხტა და სილაზე დაეცა, ამიტომაც არ დაშავებულა. მანქანა ძლიერ დაზიანდა. ზარალი დიდია.

ქუთაისი.

◆ 27 ამ თვეს მოხდება საადგილმამულო ბანკის დამფასებელი კომისიის 4 წევრის არჩევანი. სამსახურის ვადა გაუვიდათ შემდეგ პირებს: თავ. ვ. ფაღავას, ტ. ართმელაძეს, თავ. დ. ჩხეიძეს და თავ. ვლ. დადიანს. ამავე დღეს ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის შეერთებული კრება გადასწყვეტს, ვის მიენიჭოს ბესარიონ ღოღობერიძის სახელობაზე დაარსებული, ბანკის სტიპენდია პეტერბურგის უნივერსიტეტში. მთხოვნელი თურმე სტიპენდიისა მრავალია.

◆ ქალაქში დაბეჯითებით ამბობენ, რომ ოზურგეთის მაზრის უფროსი თანამდებობიდან გადააყენესო; ამნაირივე ხმები დადის შორაპნის შესახებ იმ ავაზაკობის გამო, რომელიც მაზრაში მძვინვარობს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **მომხმარებელ საზოგადოების „მომავლის"** წევრთა არა ჩვეულებრივი კრება დანიშნულია 23 ივნისისთვის, დილის 11 საათზე, ნაძალადევის თეატრის შენობაში. კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების ანგარიში და მოისმინოს მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა.

◆ **კბილის ექიმთა შორის.** 15 ივნისს კბილის ექიმთა საზოგადოების წევრთა კრება მოხდა კრებამ განიხილა საგანგებო კომისიის მიერ შედგენილი წესდება კბილის ექიმთა შემნახველ-გამსესხებელ და საურთიერთო დამხმარე კასისა. კრებამ წესდება მოიწონა და კომისიას დაავალა, ჩქარა წარუდგინოს იგი გუბერნატორს დასამტკიცებლად.

დონის როსტოვი.

◆ დონის-როსტოვის სახაზინო გიმნაზიის კურსი დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო ერთმა ქართველმა—გიორგი სტ. ელიაძემ.

◆ ბელ-ვოლსკის კერძო გიმნაზიაში 29 ქართველი სწავლობდა. ამ რიცხვიდან მხოლოდ ორი გადავიდა შემდეგ კლასში. დანარჩენებს ხელმეორე გამოცდა დაუნიშნეს. ბევრი იმავე კლასში დასტოვეს.

სრულიად რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრება

16 ივნისს ტფილისში გაიხსნა სრულიად რუსეთის ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრება. დილიდანვე კრების მონაწილენი სიონის ტაძარში წავიდნენ სადაც გადახდილ იქნა წირვა და პარაკლისი. შემდეგ აუარებელი ხალხი შეიკრიბა სიონის ქართულ საეკლესიო მუზეუმში, სადაც მუზეუმის გამგემ, მ. ჯანაშვილმა, დამსწრეთ დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი სიძველეთა შესახებ. დაათვალიერეს აგრეთვე ტაძარი და წმ. ნინოს ჯვარი. ნაწირვებს წევრები სახაზინო თეატრისკენ გაეშურნენ. აქ უნდა გახსნილიყო კრება. პირველ საათზე. თეატრს აუარებელი ხალხი მიაწყდა. დიდი დარბაზი ერთიანად გაივსო რუსეთიდან ჩამოსულ წევრებითა და საპატიო სტუმრებით. სახაზინო თეატრის სცენაც სავსე იყო ხალხით, პრეზიდიუმის მაგიდასთან ისხდნენ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეები, გენერალი შატილოვი და სენატორი ვატაცი. მეორე საათის დასაწყისში საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ. რუდოლფმა კრება გახსნა და მიესალმა მას საორგანიზაციო კომიტეტის სახელით, შემდეგ ბ. რუდოლფმა დამსწრეთ გააცნო, თუ როგორ გადიოდა კრების საორგანიზაციო მუშაობა. კომიტეტმა მოქმედება წესდების დამტკიცებამდე გაცილებით ადრე დაიწყო. კრების მოწვევას ტფილისში უმთავრესად აფერხებდა ის გარემოება, რომ აქ უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობს, რომლის სამეცნიერო ძალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ საქმის მოწყობა. მიუხედავად იმისა, რომ წინა კრებებიდან კომიტეტს არ ჰქონია არც მასალა არც სახსარი, მან მაინც შესძლო დაბრკოლებათა დაძლევა და მიზანს მიაღწია. კავკასიის ნამესტნიკმა საერობო თანხიდან კომიტეტს დიდი შემწეობა აღმოუჩინა, გარდა ამისა დახმარება აღმოუჩინეს ქალაქის გამგეობამ და უნივერსიტეტებმა. ბოლოს არამც თუ კრების მოწვევის საქმე მოეწყო, არამედ შესაძლო გახდა წინანდელი კრებების ტრადიციების დაცვაც. დასასრულ ბ. რუდოლფი მიესალმა ძვირფას სტუმრებს და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

შემდეგ რუდოლფმა საყოველთაო, სურვილი განაცხადა, რომ კრების თავჯდომარედ აერჩიათ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ი. კაბლუკოვი. ამხანაგებად კი პროფესორები: ი. ორშანსკი და ნ. კულიაგინი.

კრება ამ წინადადებას ხანგრძლივი ტაშისკვრით მიეგება.

პროფ. კაბლუკოვმა პატივისცემისათვის კრებას მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამაში ჰხედავს არა პირად პატივისცემას, არამედ მოსკოვის უძველეს უნივერსიტეტის ღვაწლის დაფასებას. ბ-ნმა კაბლუკოვმა დასძინა, რომ კრების მუშაობა ნაყოფიერი იქნება, რადგანაც თვით მოგზაურობა კავკასიაში, რომელიც ბუნების მხრით უმდიდრესი ქვეყანაა, უკვე ბევრი სარგებლობის მომტანია. ბ. კაბლუკოვმა გამოსთქვა სურვილი, რომ მალე დადგეს ის დრო, როცა აქ უმაღლესი სასწავლებლები დაარსდება. შემდეგ, მისივე წინადადებით, კრების საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა კავკასიის ოლქის მზრუნველი ბ. რუდოლფი. კავკასიის ნამესტნიკის მოადგილე ღენ. **ნ. შატილოვი** ნამესტნიკის სახელით მიესალმა კრებას და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

ბ. რუდოლფმა წაიკითხა მისალოცი დეპეშები: სახალხო განათლების მინისტრის კასოსი, მისი ამხანაგის ტაუბესი და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის ბარკისა, უკანასკნელ დეპეშას დამსწრენი ტაშის ცემით მიეგებნენ.

ტფ გუბერნიის თავად-აზნაურობის მხრით კრებას მიესალმა გუბერნიის თავ. აზნ. წინამძღოლი თავ. **კ. აფხაზი,** რომელმაც საუცხოვო და თან სადა სიტყვა წარმოსთქვა:

„უძველეს ქართველ თავად-აზნაურობის სახელით მოგესალმებით, მოწყალენო ქალბატონნო და ბატონნო! ბნელი და შავი გრძელი საუკუნოები ჭაღარა კავკასიის წარსულისა ქედს იხრიან თქვენის ბრწყინვალე მეცნიერების წინაშე. იმ თაობის მაგიერ, რომელიც მუდამ ტანჯული იყო ცეცხლითა და მახვილით, მოხვედით თქვენ, განათლების მატარებელნო, და თან მოგვიტანეთ მშვიდობიანობა, მეცნიერება, სიყვარული და ძმობა. ჩვენ, უბრალო ადამიანები, შემოგცქერით თქვენ, მეცნიერების მანათობელთ, ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ ადამიანი უკვე ამაღლებულია ბუნების მეფის სახელის სატარებლად. თქვენ მოწვეულნი ხართ ამ გზით ატაროთ კაცობრიობა. თქვენ უნდა ამოავსოთ ის ღრმა უფსკრული, რომელიც ადამიანთ ერთი მეორესაგან აშორებს. თქვენ უნდა გააქარწყლოთ ადამიანთა გონებრივი სიბნელე და გაუადვილოთ მათ ტანჯვა-ვაება. მაშ, ნება უბოძეთ ქართველ თავად-აზნაურობას, გითხრათ: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! აკეთეთ თქვენი სახალხო საქმე!".

ქალაქის თვითმართველობის მხრივ კრებას მიესალმა ქალაქის მოურავი **ა. ი. ხატისოვი.**

სენატორი **ვატაცი** მიესალმა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების სახელით. მიესალმნენ: შემდეგ პროფ. **კაბლუკოვი**—მოსკოვის ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიისა, მცენარეთა და ცხოველების გაშენების და სამეცნიერო საბუნებისმეტყველო ცოდნათა გავრცელების საზოგადოებათა სახელით. **ა. მუხარინსკი**—კავკასიის ექიმთა საზოგადოების მხრით; **ა. ქალანთარი**—კავკასიისა და სომხურ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მხრით; **ლ. ლოპატინსკი**—მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების მხრით; **ა. ბახმეტიევი**—რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილების მხრით; **ბ. ბურქსერი**—ოდესის განყოფილების მხრით: და პროფ. **ბლაგოვიდოვი**—ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების სახელით.

შემდეგ წაიკითხს მილოცვები: ყაზანის უნივერსიტეტთან არსებულ ექიმთა საზოგადოებისაგან, მოსკოვის, **შანიავსკის** სახელობის, ქალაქის თავისუფალ უნივერსიტეტისაგან, ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით კრებას მიესალმა, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ჯავახიშვილი, კავკასიის ფარმაცევტების საზოგადოებისა, ტფილისის ოდინტოლოგიურ საზოგადოებისა, ასტრახანის გუბერნიის გამოკვლევისა, ქ. პეტროვსკის საზოგადოებისა, პეტერბურგის სატყეო საზოგადოებისაგან. პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტისა, პატიგორსკის ბალნეოლოგიურ საზოგადოებისა და ოდესის პედაგოგთ ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოებისა.

შანიავსკის სახელობის თავისუფალ უნივერსიტეტის მხრით მთელი დეპუტაცია იყო და პროფ. **კაბლუკოვმა** წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც ტფილისს უსურვა, რომ აქ გახსნილიყოს ისეთივე თავისუფალი უნივერსიტეტი როგორც მოსკოვში. ამ სიტყვების დამსწრენი მხურვალე ტაშის ცემით მიეგებნენ.

ნ. რუდოლფმა წაიკითხა მილოცვა ტფ. ბოტანიკურ ბაღისა და კავკასიის მუზეუმისაგან.

თავმჯდომარემ პროფ. კაბლუკოვმა სთქვა, რომ ორმოცზე მეტი დეპეშა მოსული, სხვათა შორის ბულგარეთიდან, ქალ. სოფიის უნივერსიტეტის რექტორის კიროვისაგან და პრაგიდან ჩეხურ ენაზე ჩეხების ბუნებისმეტყველთა მეხუთე კრებისაგან.

სამ საათზე კრება ათის წუთით შესწყდა.

კრების განახლებისას **რუდოლფმა** წაიკითხა დეპეშები იალტისა და სოჭის ქალაქის თვით-მმართველობათაგან. შემდეგ კრებას მიესალმა კავკავის ქალაქის მოურავი **ბაევი.**

საღამოს 8 საათზე **ა. ხატისოვმა** დამსწრენი მიიპატიჟა არტისტიულ საზოგადოების საზაფხულო სადგომში ქალაქის მიერ გამართულ ჩაიზე.

დასასრულ პროფ. ორშანსკიმ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე „ატავიზმის მოვლენანი კაცის ნერვო-ფსიხიურ ცხოვრებაში". შემდეგ მოხსენება წაიკითხა კ. სატუნინმა: „კავკასიის ცხოველების დანაწილება ბუნების მიხედვით".

კრება ხუთ საათზე გათავდა.

ბუნებისმეტყვ. და ექიმთა კრების ამბები

◆◆ 15 ივნისს საღამოს არტისტულ საზოგადოების საზაფხულო სადგომში ჩაიზე მიიწვიეს კრების წევრები, რომელნიც ერთმანეთს გაეცნენ. აქვე გაუზიარეს ერთმანეთს ცნობები პრეზიდიუმის წევრთა არჩევის შესახებ. უმრავლესობამ დაასახელა პროფესორები: კაბლუკოვი, ორშანსკი და კულაგინი

◆◆ 16 ივნისს აქავე გაიმართა „ჩაი", დაესწრო 4000 მდე წევრი და სტუმრები, რომელნიც დაპატიჟებულნი იყვნენ ქალაქის თვითმმართველობის მიერ.

◆◆ გუშინწინამდე კრების წევრებად ჩაირიცხა 3009 კაცი აქედან უცხო ქალაქებიდან ჩამოსულა 2,113 კაცი და აქაურებია 896 კაცი.

◆◆ ტფილისის სასტუმროები სრულიად გავსო. ბევრი წევრი სხვა ქალაქებში გაჩერებულა, რადგან ჩამოსასვლელად მატარებლის ბილეთები ვერ უშოვიათ.

◆◆ გუშინწინ საარტისტო საზოგადოებაში ბევრმა უცხო წევრებმა დიდი სურვილი გამოსთქვა ქართული სიმღერები და საერთოდ კონცერტების მოსმენისა.

◆◆ ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრებას არ დაესწრნენ პეტერბურგისა, მოსკოვისა და სხვა უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორები; უარი განუცხადებიათ: მოროზოვს, ვილდენს, ლესსინგს, ხვოლსონს, ბურგმანს და ბევრს სხვას. გარდა ამისა, ტფილისს ჩამოვიდა პროფ. ანდრუსოვი, მაგრამ ისევ უკან გაბრუნდა.

◆◆ გუშინ, 17 ივნისს, დილის ცხრა საათიდან უკვე მუშაობა დაიწყო შემდეგმა სექციებმა: მათემატიკისა, ფიზიკისა, ფიზიკური გეოგრაფიისა, ქიმიისა, გეოლოგიისა და მინერალოგიისა, ბოტანიკისა, ზოოლოგიისა და სხვათა. ნაშუადღევის ორ საათზე საბჭოს კრება მოხდა ორი საათიდან კრების მონაწილენი გამოფენებს ათვალიერებდნენ.

ქუთაისის ქალაქის სავადმყოფოს კურთხევა

დიდ ხანს ელოდა ქუთაისი რიგიანად მოწყობილ სავადმყოფოს დაარსებას და ძლივს ეღირსა. 1909 წელს დაწყებული შენობა სავადმყოფოსი ძლივს წრეულს დამთავრდა.

16 ივნისს სახემწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი იყვნენ ქალაქის გამგეობის მიერ სავადმყოფოს გახსნაზე დასასწრებლად.

12 საათზე მრავალმა ხალხმა მოიყარა სავადმყოფოში თავი. სასიეროდ მოსული ხალხის რაოდენობა ხომ რამდენიმე ათას კაცს აღემატებოდა.

პირველ საათზე იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი საპარაკლისოდ დადგა ქუთაისის სამღვდელოების თანადასწრებით.

პარაკლისს ყოვლად სამღვდელომ წარუმძღვარა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა სავადმყოფოს დაარსების მნიშვნელობა. პარაკლისის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის თავმა ილია ჩიქოვანმა, რომელმაც დამსწრეთ აუწყა სავადმყოფოს მოკლე ისტორია, მისი ღირებულობა და მოწყობილება. ამასთან იმედი გამოთქვა, რომ ახლად დაარ·

ოსკარ უაილდ*)

ბ. სალომე.

მსოფლიო ლიტერატურაში არ იპოვება ისეთი მხატვრული ქმნილება, როგორიც არის უაილდის „სალომე". შეიძლება ნაწარმოები გენიალიც იყოს, მაგრამ მხატვრული ასრულების მხრივ ბევრი რამ აკლდეს. „სალომე" კი ყოვლად სრული და უნაკლოა. აქ შინაარსი ისე სხმულა ფორმაში და ფორმას ის უსხეულებია შინაარსი, რომ მათი გამოყოფა ერთი-მეორეისაგან შეუძლებელია. როგორც ამბობს ერთი ავტორი (აიხენვალდი), „სალომეში" ენის ჯადონი აყვანილ არიან იმ სისრულემდე, სადაც ყოველი ნაჭედი ფრაზა წარმოადგენს რაღაც დამოუკიდებელს, საკუთარს სფეროს მშვენიერებისას, და ყველანი ერთად ჰქმნიან სფეროთა ჰარმონიას. ჰკითხულობთ ან უსმენთ „სალომეს" წარმოდგენას,—და თქვენ წინ იშლება მრავალფეროვანი მარმარილო, რომლითგანაც უკეთესი და უკეთესი ნაკვეთი იჭრება. მარმარილო ცივია, მაგრამ აქ იგი ვნებით ღვივის: უძრავ სხეულით სისხლის ჩქეფი გამოკრთის... და იშლება მასში ქრილი სიტყვა მრავალფერ ალად და გადადის იგი პლასტიურ ტალღებად. დიაღ, სიტყვა მისი მარმარილოს ნაკვეთია და ფოლადის ნაჭედი, ხოლო სიცოცხლით მთის წყაროში განბანილი ყვავილი. სიტყვა სიტყვასთან მიწყობილი, ფრაზა ფრაზასთან მიდგმილი—იგი უცნაური ხმოვანებაა, შორეული მუსიკის ჰარმონია. დრამა აქ ლირიულ ლექსად იქცევა და გადადის მუსიკალურ სონეტში. და მთელი პიესა ერთს მშვენიერს ბალლადათაა გამოსული, ერთს აქტად ქცეული, ერთი მოქნევით ასრულებული. თითქო მგოსნის სულში შემოქმედი ცეცხლი უწყვეტლად ღვიოდა და მისმა მთრთოლვარე თითებმა ერთი მოქნით ჩამოასხა უსულო თიხა სრულს ფორმაში,—და მგონია, თითებსაც უნდა გახარებოდათ მისი დასრულება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. აქ ისმის კიდევ ისეთი მუსიკა, რომელიც სულ სხვა გვარია და თან მრავალის მცნევი. ეს არის ერთგვარი „არქიტექტურული მუსიკა", შედგენილობითი ჰარმონია. დრამა იგი არ იწყება ჩვეულებრივი წვრილმანებით, მასში გაყვანილი ისტორია არსად სჩანს, ამბავთა ერთი მეორეში გადახლართვა მასში არ არსებობს; მაგრამ რამოდენიმე მოხდენილი ხაზ-გასმა—და ჩვენ წინ ისახება სავსებით მომქმედი პირი და შორით მოსჩანს დრამის გარემყოფი ისტორია. დიაღ, დრამის გარეშე არსებობს ეს ისტორია და „სალომე" ამ მხრივ ერთი ნაწყვეტია მრავალ-მოქმედებიანი დრამისა, მხოლოდ ისეთი ნაწყვეტი, რომელიც თვითონ ქცეულა მთლიანად და აღარ საჭიროებს სხვა მოქმედებას. ამ მხრით მას ვერც ერთი ქმნილება ვერ შეედარება. თვითონ მუსიკა კი, უცნაური მაგრამ მრავალის მცნევი, ჰქმნის ერთგვარს გულნებას, იდუმალს სულის მიმართვას, სადაც მსმენელი ან მაყურებელი თვითონ სწვდება ყველაფერს და აღარ უნდა ზედმეტი სახელობა...

აი თუ გინდ თვითონ დაწყება დრამისა! ჰეროდეს სანადიმო დარბაზს დიდი ტერრასაა მიმდგარი. პირისპირ უშველებელი კიბე, მარცხნივ ღრმად ამოჭრილი ჭა, მწვანე ბრინჯაოთი თავმორთული. ამ ტერრასიდან გაჰყურებს ორი ყმაწვილი: ახალგაზდა სირიელი და ფარეში ჰეროდესი. პირველი უცქერს მეფის ასულს სალომეს, მეორე უმზერეს ცაზე გადმოკრილ მთვარეს. და ის, რაც უნდა აღძრავდეს სირიელის შეყვარებულს გულს, ხსნის ფარეში მთვარესადმი მიმართული გამოთქმით. პირველი შეჰსტრფის სალომეს, მეორე შეჰფრფინავს მთვარეს,—და გამოდის: სალომე მთვარეა და მთვარე სალომე. „ჰოი, რა ლამაზია დღეს საღამოს მეფის ასული სალომე!" იტყვის სირიელი. ფარეში კი თითქო განაგრძობს: „შეხედეთ მთვარეს: მთვარეს უცნაური სახე, მეტად უცნაური სახე აქვს: იგი თითქო ქალია, საფლავიდან ამოსული". და მერე ისევ სირიელი იწყებს: „მას მეტად უცნაური სახე აქვს: იგი პატარა მეფის ასულს გავს, ყვითელ ჩადრში გახვეულს". და ასე, ამ სახით ორი მხრით იხატება მეფის ასული სალომე. საუცხოვოა ისიც, რომ დრამა მთვარის ფერით იწყება: მთვარე ხომ გრძნეულია და საშინელების მასწავლებელი!

ვინ არის სალომე? მეფის ასული, მშვენიერების ხორციელება. ელლინთ გენიას უთხზავს მისი სხეული: იგი ვნებით აღძრული მარმარილოა—მისი ცისკროვანი სახე ყვავილებს ზმანებიათ: თვალნი,—ახლად გაშლილნი ყლორტნი; ბაგე—„ვარდი პობილი". თმა მისი მზის სხივებში ტანს იბანს და მის სხეულს ალად ეხვევა. აღმოსავლეთს ჩაუთქვამს მასში სქესური ვნება, ძლიერი და შმაგივით გადატეხილი ზვირთი, საშინელი და გარდამლახავი ვით ამოვარდნილი ქარიშხალი. იგი უყვარს ჰეროდეს, მის ბიძას და მამინაცვალს; იგი უყვარს ახალგაზდა სირიელს, მეფის სასახლეში მყოფს, მაგრამ სალომეს მათთვის არ უძგერს გული. იგი შეიყვარებს მას, ვინც უარჰყოფს მის სიყვარულსა,—და სწორეთ აქ ჩამოიქროლებს ფრთების შრიალით შავი ლანდი სიკვდილისა. სიყვარული და სიკვდილი ვნებული ხვევნით ერთიმეორეს ექლობიან და თამაში სიყვარულისა თავდება **სიკვდილის ცეკვით.** ვინ არის ის, ვინც უარჰყოფს მშვენიერი სალომეს სიყვარულსა? იოქანაანი, ახალი ხანის წინამორბედი, ღრმა ჭაში რომაა ჩამწყვდეული. იგი სხვაა: იგი ვნებას ახშობს, რომ აღამაღლოს სული: სხეულის სიტკბოს მას სულის ნეტარება ურჩევნია. იგი სხეულის ჟინს არ მიჰყვება: მისი მშვენიერება მაცდურის სამოსელია მისთვის, რომელიც მას სულისა და ხორცის ბრძოლაში ევლინება. და მოევლინა კიდეც: იგი მშვენიერება სალომეა, მეფის ასული სალომე. საშინელია მათი შეხვედრა, მაგრამ ამასთანავე თვალწარმტაცი და მიმზიდველი. ერთი ნდომის წყურვილითაა აღტყინებული, მეორე სულის ასკეზით ცივ კლდედ ქცეული, რომელსაც სურვილის ტალღა ტყვილა ასკდება.

სანადიმო დარბაზიდან ვით მინდორს გაქრილი შველი გამოვარდება ყელმოღერებით მეფის ასული სალომე. ახალგაზდა სირიელი იქცევა ქვრეტად სულგანაბული.. „იგი თითქო მტრედია, რომელსაც გზა დაებნა; იგი თითქო ნარგიზია, ნიავისაგან რხეული; იგი ვერცხლის ყვავილს ჰგავს",—აღმოხდება მას გულის სიღრმიდან. სალომე კი მთვარეს მიაშტერდება: იგი ხომ გრძნეულია მისი გრძნებითა „იგი ცივია და ქალწული, მას ქალწულის სილამაზე აქვს; იგი აროდეს დანებებია კაცსა, როგორც სხვა ღმერთი ქალი",—ჰკიკიკობს სალომე და მით თითქო თავის თავზე ლაპარაკობს „ჭის ჯურღმულითგან ამოისმის იოქანაანის ხმა: „იგი მოვიდა, უფალი! იგი მოვიდა, ძე კაცისა! კენტავრნი მდინარეში მიიმალენ, ალებმა მდინარენი მიატოვეს და თავს იფარვენ ფოთლებით ტყეთა შორის". სალომე სმენად იქცევა: მას მოსწონს იგი ხმა, უცნაური, იდუმალი.. და აქ მთვარის სახე იცვლება: „რა უცნაური სახე აქვს მთვარეს: შეიძლება იფიქრო, ეს მკვდრის ხელია, რომელსაც უნდა დაიფაროს თავი სუდარითა",—და სირიელი მას ისევ სალომეს ადარებს. სალომე ერთს სურვილად იქცევა: მას უნდა შეხედოს მას, ვინც ჭის ჯურღმულით გამოსცემს. და ნეტარი დაპირების შემდგომ ახალგაზდა სარიელს ამოჰყავს იოქაანი. სალომე შეჰკრთება, მაგრამ თვალს ვერ აცილებს: გრძნობს რაღაც საშიშარს, მაგრამ თანვე გამოუთქმელს ნეტარებას და შლის სალომე პირველად სიყვარულის სიტყვას, ნილოს ყვავილის სიტყვას: იგი ხომ ნამდვილი ეგვიპტის ლოტოსია. იგი იქცევა მთელი არსებით სიტყვათა მუსიკათ: იგი უმღერის მას ბულბულის ჰანგსა, ყვავილთა ყლორტებში ჩარჩენილს.

შეფრფინვის და თან ეშინის, კრთის... სალომეს მოსწონს შავი თვალები იოქანაანისა, „შავი ტბანი, აღელვებულნი აჩრდილისებური მთვარით" და იწყება შეუდარებელი აღწერა, ბუნების სიყვარულით ამოხეთქილი.

სალომე; იოქანაან, მე მიყვარს შენი ტანი. შენი ტანი თეთრია, ვით შროშანა მდელოსი, რომელიც მთიბველს ჯერ არ გაუთიბავს. შენი ტანი თეთრია ვით თოვლი, რომელიც მთებზე ძევს, ვით თოვლი, რომელიც იუდეას მთებზე ძევს და ჭალებში არ ჩამოშვებულა. ვარდი არაბისტანის დედოფლის ბაღისა ისე თეთრი არ არის, როგორც შენი ტანი. არც ყვავილი არაბეთის დედოფლისა, არც კვალნი დილის რიჟრაჟის, ფოთლებზე მსრბოლნი, არცა წიაღი მთვარისა, როცა იგი ისვენებს ზღვის წიაღში... არა-რა არის მთელს ქვეყანაზე ისეთი თეთრი, როგორც შენი ტანია... მოდი, მინდა შევეხო შენს ტანსა...

იოქანაან: შორს, ასულო ბაბილონისავ! ქალით შევიდა მსოფლიოში ბოროტება. ნუ ლაპარაკობთ ჩემთან. მე არ მინდა შენ გისმინო. მე ვუსმენ მხოლოდ სიტყვებს უფ. ღმერთისა...*)

სალომე: შენი ტანი საზიზღარია. იგი კეთროვანის სხეულია. იგი გავს გათეთრილს კედელს, რომელზედაც ბუდე ააგეს მორიელებმა. იგი გავს გათეთრილს სავანეს, გავსებულს შემზარავ ნივთებითა. იგი საშინელია, საშინელი, შენი ტანი!.. მე შენი თმა მიყვარს, იოქანაან! შენი თმა გავს ყურძნის მტევანს, შავი ყურძნის მტევანს, რომელსაც ჰკრეფენ ედემის ვაზითგან მხარესა ედომიტელთა. შენი თმა ლიბანის ნაძვნარია, დიდი ლიბანის ნაძვნარი, რომელიც ჩრდილოს აძლევს ლომებსა და ყაჩაღებს, დღისით დამალვის მსურველებს. გრძელნი, შავნი ღამენი, ღამენი, როცა არ ჩნდება მთვარე, როცა ეშინიათ ვარსკვლავებს,—ისე შავი არ არიან. დუმილი, რომელიც მეფობს ტყეებში, ისე შავი არ არის. არა არის არა ქვეყანაზე ისეთი, რაიც ისე შავი იყოს, როგორ შენი თმა... მოდი, მსურს შევეხო შენს თმასა...

იოქანაან: შორს, ასულო სოდომისავ! არ შემეხოთ მე! არ შეიძლება შერყვნათ ტაძარი მეუფისა...

სალომე: შენი თმა საშინელია. იგი დაფარულია ტალახით და მტვერითა. იგი თითქო ეკლის გვირგვინია, შენს შუბლს ჩამოცმული. იგი თითქო ბურგვია შავ გველებისა, დაკლაკნულების გარშემო შენი ყელისა. მე არ მიყვარს შენი თმა... მე შენი ბაგე მიყვარს, იოქანაან: შენი ბაგე—ეს ალისფერი საბამია კოშკზე, სპილოს ძვლისაგან ამართულზე, იგი ბროწეულია, გაჭრილი სპილოს ძვლის დანითა. ყვავილნი ბროწეულისა, რაიცა ყვავან ტირო-

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 920.

*) „შენ" და „თქვენ" აქ განზრახ არის არეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებული დაწესებულება დიდ სამსახურს გაუწევს არა თუ მარტო ქუ-აისს, არამედ მთელს გუბერნიასაც.

ქალაქის თვითმმართველობის მოამსახურეებმა პარაკლისის გათავეის შემდეგ დამსწრენი მიიპატიჟეს ადილზე, რომელზედაც მრავალი იტყვა წარმოითქმევა და რომელიც ათენებამდე გაგრძელდა.

თვით სავადმყოფო კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს სისუფთავითა და მოწყობილებით, იგი განზრახულია 75 საწოლისთვის და ამიტომ ბევრს ეჭვი ებადება, რომ ქალაქი თავის დაცარიელებული კასით ვერ გაუძლევს მის მიერ გამოწვეულ ხარჯს; მაგრამ ეს ეჭვი, ჩვენის ფიქრით, უსაფუძვლოა, რადგან საჭიროება კარგად მოწყობილი სავადმყოფოისა ქუთაისსა და მის გუბერნიაში დიდია. მდებარეობით ქუთაისის სავადმყოფოს არა მგონია სხვა ქალაქების ამგვარი დაწესებულება შეედაროს.— იგი მოთავსებულია საღორიის ტყეში, მაღლობ ადგილას, მშვენიერი ადასახედით და სალ ჰაერით. ზოგიერთნი სიშორეს უწუნებენ, მაგრამ იგი, ქალაქის ცენტრიდან რომ ვიანგარიშოთ, 1½—1¾ ვერსს არ აღემატება და გარდა ამისა გზაც რიგიანია.

საექიმო პერსონალს შეადგენს შემდეგი პირნი: დასტაქარი—რადზევიჩი, თერაპევტი—ნემსაძე, ქალის ავადმყოფობა—ლორთქიფანიძე და გადამდები სენის ავადმყოფობა—ჩარექოვი. ეჭვი არ არის, რომ ეს პირნი შესძლებენ შესაფერ დონეზე დააყენონ ახალი დაწესებულება და მით ღირსეული სამსახური გაუწიონ ქალაქსა და მის გუბერნიას.

პატარა ფელეტონი

რეკლამის მანია

რვა წლის უნახავი მეგობარი შემხვდა, ვერ ვიცანი გულმავიწყმა, მან, გამახსენა, გვარი მითხრა—გამომეცნაურა. მომაგონა წარსულ-საშუალო სასწ. ერთად ყოფნა, ერთ პარტაზე სხდომა. სახლში დამიპატიჟა, არ მომეშვა—თან წამიყვანა: გამაცნო ცოლ-შვილი. დიასახლისს ჩაი შეუკვეთა. უკვირს მეგობარს, რომ ასე გაშტერებით ვუცქერი, მოსდის ჯავრი, რომ ვეღარ ვცნობ. ცელქი ბავშვივით მეტიტინება:

— „ნუ თუ აღარ გახსოვს ჩემი კანდალი სამ. ისტ. მასწავლებელთან და ჩემი სასწავლებლიდგან გამოპინტრიშება!!—

— როგორ არა, როგორ არა!—ვუპასუხებ დაბნეულად, ყოველისფერი მახსოვს, დღესაც კი ეს იყო 13 ოქტომბერს 1904 წელს. მხოლოდ მაკვირვებს შენი ასე გამოცვლა: დავაჟკაცებულხარ, ჩინოვნიკი გამხდარხარ... ცხოვრება დაგიწყვია... სხვა, ძველო მეგობარო, როგორ სცხოვრობ? კმაყოფილი ხარ ცოლით, შვილით?!

— კი, კი, ბედნიერი თუ არა, არც უბედური ვარ. კარგი ადამიანია ჩემი ცოლი. მხოლოდ ერთ რამეზე ვერ მოვრიგებულვართ, ხშირად ვკინკლაობთ: მე საშინლად მიყვარს ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, განცხადებების კითხვა და დაკვეთა ამა თუ იმ ნივთისა. ჩემს ცოლს კი საშინლად ეჯავრება ჟურნალ-გაზეთებიც და განცხადებანიც. თუ ძმა ხარ, შენ მაინც ჩააგონე ჩემს ცოლს, რომ მე მართალი ვარ... ცხოვრებას კაცი არ უნდა ჩამორჩეს...

ამხანაგების სიტყვებმა აზრი გამიმართლეს: როდესაც ფეხი შევსდგი მის ოთახში და თვალი მიმოვ ვლე მის ბინას, ვიფიქრე—აქ უეჭველად რეკლამების მსხვერპლი უნდა იდგესმეთქი... ათასნაირი ჟურნალ-გაზეთები, ჯადოსანი წიგნები სხვა და სხვა ნივთები: საათები, ბეჭდები, იარაღი, მთელი შკაფი წამლები, სამკურნალო წიგნები, და, ვინ იცის, კიდევ რა...

— გეტყობა, მეგობარო, განცხადებებით საქონლის დაკვეთა გვყვარებია.

— თუმცა ჩემს დედაკაცს არ მოსწონს ესენი, მაგრამ, მე სწორე გითხრა, ამით ვცოცხლობ. აბა შეიხედე ამ შკაფში—მთელი ბიბლიოთეკაა. აი ეს ორი რვეული თორმეტი მანეთი ღირს. „ჰიპნოტიზმი, ნიუიორკის ცოდნათა ინსტიტუტი მოსკოვში". ამ რვეულებით შეგიძლიან სასწაულები მოახდინო...

იქვე შკაფში ეწყო ცნობილ ოინბაზების, ჯონ კლეველანდის და შილლერ შკოლნიკის მოწერილი ბარათები, კალენდრები, ხასიათის გამოკვლევა, და მკითხაობა. მათი ძვირფასიანი წიგნები:

— აი ამ შკაფში კი, სულ სხვა და სხვა გამოჩენილ მსოფლიო მკურნალის წამლები და რეცეპტებია. ხომ გახსოვს, როგორი სუსტი ვიყავ სასწავლებელში, ხშირად ავადმყოფობდი, ახლა კი გამოწერილი წამლებით სრულიად დავიბრუნე ჯანმთელობა. საჭიროა მხოლოდ მისწერო რაც გტკივა, რაც გაწუხებს გენიოს ექიმს განკენს, მოსკოვში, დაიკვეთო მისი წამალი „რომბოსტო" და დაუყონებლივ განიკურნები. ან კიდევ ექიმს ჯონ რიდს, პარიზში, მისი აღმოჩენა — ვიტალოპატია — არამც თუ ავადმყოფს მოარჩენს, მკვდარსაც კი აღადგენს. კაცო, საკვირველი ეს არის, რომ ერთი და იგივე წამალი ყველა ავადმყოფობას უებრად ჰკურნავს...

შემეცოდა მეგობარი. მოვცილდი მის შკაფებს. ის კი სიამოვნებით მიამბობს და მიჩვენებს გამოწერილ ნივთებს.

— დავიჯერო, მეგობარო, ყოველთვის კმაყოფილი ხარ ხოლმე გამოწერილი ნივთებისა?

— არა,—გულახდილად და დამშვიდებით მიპასუხა,—იყო რამდენიმე შემთხვევა მოტყუებისა. ერთ დღეს ამოვიკითხე, მგონი, „მსოფლიო პონორამაში": „მანეთად ვგზავნით საათს და სამ ნივთს, 12 მან. ღირებულს. ქ. ლოძი..." მოდი და დაიშურე ერთი მანეთის, ამ განცხადების შემდეგ. რასაკვირველია, და ვიკვეთე და რა მომივიდა, რომ იცოდე? ქაღალდზე დახატული მზის საათი და სამი რვეული—თითო ოთხი მან. ფასი ეწერა. ერთ რვეულში გრამოფონები ეხატა, მეორეში—სკრიპკები, მესამეში—ეშმაკი და ქაჯები. მეორე შეცდომა: ყოველ დღე თვალში მეჩხირებოდა შემდეგი რეკლამა: „600 საჭირო ნივთს და საათს, 25 მ. მაგივრად, ვგზავნით 2 მ. 90 კ. გასაგზავნიც 55 კაპ. ლოძი." ვიფიქრე ნეტავ რა უნდა იყოს ექვსასი ნივთი, რომ თითო ნივთი თითო გროში მაინც არ ღირდეს მეთქი. გამოვიწერე. მომივიდა რაღაც საათის ლანდი და პატარა ქინძისთავი...

ამ დროს დიასახლისმა ჩაი შემოგვიტანა და რაკი მიხვდა, რომ რეკლამებზე აღტაცებით მელაპარაკებოდა მისი ქმარი, მოურიდებლად დაუტატანა:

— „არა გრცხვენია, შე საცოდაო, რომ ყველასთან რეკლამებზე ლაპარაკობ, უამბობ კიდეც, თუ როგორ გიბამენ თვალებს; მეგობარი თუ ნაცნობი შენ გამტყუნებს და შენ კი მაინც არ იშლი. ნეტავ რა ადამიანი ხარ? განა ამის შემდეგ კიდევ უნდა ენდოს კაცი განცხადებებს?—ამ სიტყვებით ცოლმა კალათიდან ამოიღო ორი წყვილი ფეხსაცმელი და ქმრისკენ გადმოისროლა.

— ყმაწვილო, ეს ორი წყვილი ფეხსაცმელი თუ რაღაც ჯანაბა ლოძიდან გამოიწერა, ექვს მანეთ ნახევრად დაუჯდა. და აი, როგორც ჰხედავთ, შრეშით დაკრულ კარდონისაგანაა გაკეთებული. მეეზოვესთვის უნდა ეჩუქებინა, მაგრამ იმანაც კი დაიწუნა: მე მაგას ვერ ჩავიცვამო.

ცოლ-ქმარი დავამშვიდე. ჩაის მივუსხედით. ლაპარაკი სრულიად შესწყდა...

— თქვენ, მაინც, რა აზრისა ხართ რეკლამების შესახებ?

მკითხა მეგობრის ცოლმა გამომშვიდობების დროს.

მინდოდა ისეთი პასუხი გამეცა, რომ „არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური", მაგრამ შემეძლო განა? თურმე, ჩემს მეგობარს ცოლიც „ბრაჩნაია გაზეტა"-ს რეკლამის საშუალებით ჰყავდა შერთული!..

ეფ. სართანიძე.

მოწერილი ამბები

სოფ. ალაგირი (თერგის ოლქი). ქართულ სკოლაში ორი მასწავლებლის ადგილია თავისუფალი. მსურველთ ვსთხოვთ გამოგზავნონ თხოვნები და დოკუმენტები, კავკავის საეპარქიო საბჭოს განყოფილებაში ან ალაგირის ქართული სკოლის სახელზე: რწმუნებულს მეტრეველს. ჯამაგირი ექნებათ თვეში თითოს 32 მან. 50 კ. ბინა განათება და გათბობა უფასო, ბინები სკოლის შენობაშივეა მოთავსებული.

პეტრე მეტრეველი.

„შეურაცხყოფილი თავადი"

(წერილი ცხინვალიდან)

ვინა სთქვა, რომ ქართველ ხალხს არა ჰყავს ჭეშმარიტი გულ-შემატკივარნი, რომელნიც ღირსეულად ზრუნავდნენ, როგორც მოზრდილთა ისე მოზარდთა გონებრივ-ზნეობრივ განსპეტაკებისა და ამაღლებისათვის. ტყუილია! დღესაც ბევრი გვყავს ასეთები. არა გჯერათ? აი დამამტკიცებელი საბუთიც:

27 მაისს ცხინვალის დაწყებითი სკოლაში გაიმართა საყმაწვილო სალიტერატურო საღამო, ცოცხალი სურათებით.

ამ საღამოზე მოწვეულნი იყვნენ ბავშვების მშობლები—აქაური მუშა ხალხი და ვაჭრები, ადგილობრივი ინტელიგენცია და ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლები. რასაკვირველია, მოწაფეებმა ბევრი ლექსი წარმოსთქვეს, სხვათა შორის აკაკის „პატრიოტიც", რამაც ერთის მხრით საზოგადოების დიდი აღტაცება გამოიწვია, მეორეს მხრით კი—აურზაური. როდესაც შეგირდმა ქურთიშვილმა წაიკითხა აკაკის „პატრიოტი", ერთმა თავადმა აღელვებით დაიწყო ხმა-მაღლა ლაპარაკი. მიუხედავად ამისა, სხვა მოწაფეებმა განაგრძეს ლექსების კითხვა და, ვიდრე ცოცხალი სურათები დაიდგმებოდა, საზოგადოებამ მოსთხოვა ქურთიშვილს გაემეორებინა „პატრიოტი". მეც გამოვიხმე მოწაფე და ვუთხარი, გამოსულიყო ლექსის გასამეორებლად, მაგრამ მან უარი განაცხადა და თანაც შეშინებულმა მიპასუხა: „ვერ ვიტყვი, აქ ერთი თავადი ჯავრობს, ქურთიშვილმა რად სთქვა ეგ ლექსიო". ბავში დავამშვიდეთ. მან განიმეორა ლექსი და მხურვალე ტაშითაც იქმნა დაჯილდოვებული. მაშინ ბრწყინვალე რაინდის გულმა ვეღარ მოითმინა და საშინლად გაჯავრებული თავადი წამოვარდა, საჩქაროდ წამოავლო ხელი თავის რვა წლის ქალს, გარედ გაიყვანა და თან ხმა-მაღლა გაიძახოდა: „ჩვენ აქ იმისთვის მოგვიწვიეს, რომ შეურაცხყოფა მოგვაყენონ, აქ ჩვენი ადგილი აუ არის, აქ სულ სხვა ხალხი უნდა ყოფილიყო მოწვეული: აბრამ, ხაიმ, კარაპეტ, პოლოსა და ბევრი სხვა ამისთანებიო". რამდენიმე მანდილოსანიც აიმრიზა, მაგრამ იძლენი მოთმისება და ზრდილობა მაინც იხმარეს, რომ საღამოს გათავებამდე არ აშლილან, მხოლოდ ჩუმად კი აცხადებდნენ უკმაყოფილებას. ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ ისეთ უცნაურ მოვლენას. დაიშალა ხალხი. მეტი წილი კმაყოფილი დარჩა. საბავშო საღამოს შემდეგ ცხინვალის „კლუბში" შევედი, სადაც საოჯახო საღამო იყო გამართული. კლუბის სამკითხველოში შემთხვევით შევხვდი „შეურაცხყოფილ" თავადს, რომელსაც სრულიად დამშვიდებული კილოთი მივმართე: „ნუ თუ მართლა შეურაცხყოფად მიიღეთ ის ლექსი?"

აღელვებულმა თავადმა მრისხანეთ მიპასუხა: „დიახ! მე შეურაცხყოფილი ვარ, როგორც ქართველი"...

მე შევნიშნე, რომ, ალბად, ქართული ლიტერატურა არ გცოდნიათ საკმაოთ, თორემ ასეთ რამეს არ იტყოდით, რადგან ის ლექსი ჩვენს დიდებულ მგოსანს აკაკის ეკუთვნისთქო.

ამის პასუხად თავადმა ერთი უცებ დაიყვირა: „თქვენ თუ არა გაგეგებათ-რა და თავშიაც არა გაქვთ-რა (თან შუბლზე თითი მიიდო)... ყველანი „დურაკები" ყოფილხართ... Вы не панимаете этики приличія; რატომ ავარას ლექსიც არ ასწავლეთ თქვენს მოწაფეებს და სხვ... რაღა უნდა მეთქვა? გავჩუმდი

ვსწერ ამას იმისთვის, რომ მკითხველმა შესაფერი მსჯავრი დასდვას თვისი წოდების „უებრო" დამცველ თავადს და ჩემის მხრით დავუმატებ, რომ ვამაყობ იმით, რომ შემიძლიან კიდევ ბევრჯერ ვათქმევინო შეგნებით ამ გვარი ლექსები მოწაფეებს. „გმირი" თავადისაგან კი მოვითხოვ, როგორც „этика приличія"-ს ღრმა მცოდნესაგან, ბოდიში მოიხადოს დიდი აკაკის წინაშე იმისი ლექსის „ავარასთან" შედარებით დამცირებისათვის.

ცხინვალის დაწყებითი სკოლების ზედამხედველი **მართა დავითაშვილი.**

მუშათა ცხოვრება

✦ ქიათურიდან იტყობინებიან, რომ ზოგიერთი მსხვილი მწარმოებელი მზადაა დააკმაყოფილოს მუშების მოთხოვნილებანი. მაგრამ მუშებმა გადაწყვიტეს განაგრძონ გაფიცვა, სანამ ყველა ფირმა არ დააკმაყოფილებს მუშებს.

✦ ლოძში ხელახლა დაიწყო გაფიცვები. მექარხნეები არაფერს უთმობენ მუშებს.

✦ ბელოსტოკში გაფიცვებია, მუშები თხოულობენ ხელფასის მომატებას. 23 კაცი დაატუსაღეს.

✦ მიტავაში გერმანულ გიმნაზიაში ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცნენ მასწავლებელი ქალები. ყველანი ადგილიდან დაითხოვეს.

✦ პეტერბურგში ფრანგ-რუსთა ქარხანაში საყოველთაო გაფიცვაა; მიზეზია ყოველგვარი შევიწროვება ქარხნის ადმინისტრაციის მხრით. ქარხნის პატრონებმა განცხადება გამოაკრეს. თუ მუშები 17 ივნისამდე არ შეუდგებიან მუშაობას, ყველას ანგარიშს ჩააბარებენ.

✦ პუტილოვის ქარხნის მღებავთა გაფიცვა 54 დღე გრძელდება. ზოგიერთს გაფიცულს ძლიერ გაუჭირდა და ამხანაგებს მიმართეს დახმარებისათვის.

✦ ძველი ლესნერის ქარხნის მუშები ისევ გაფიცულნი არიან. პატრონები ვერას გახდნენ, რომ გაფიცვა ჩაეშალათ. ახალი ლესნერის მუშებმა გადაწყვიტეს სხვა ქარხნებში შესვლა.

სამედიატორო განჩინება

ჩვენ, ქვემორე ამის ხელის-მომწერელმა მედიატორებმა, კონსტანტინე ბერუჩაშვილმა, ქ. „ლეკიშვილის" (ფსევდონიმია) მხრით, და ერემია ს. კაპანაძემ სამსონ ფრუიძის მხრით, ავირჩიეთ თავმჯდომარედ ვასილ თვარაძე და ვიქონიეთ მსჯელობა იმ ბრალის შესახებ, რომელსაც „ქ. ლეკიშვილი" სამსონ ფრუიძეს სდებდა, რაც გამოიწვია პირველის „კორესპონდენციამ" გაზ. „მერცხლის" მე-5 ნომერში 1913 წლისა და ფრუიძის პასუხმა გაზ. „იმერეთის" მე-15 ნომერში ამავე წლისა; დავეკითხეთ ორივე მხარისაგან წამოყენებულ მოწმებს და გავარკვიეთ შემდეგი: 1. ბრალდებულს, სამსონ ფრუიძეს, სრულიად არავითარი მონაწილეობა არ მიუღია გლეხის კვატიძისა და მებატონე ჯანუაშვილის თავდახსნა-შერიგებაში, არც შუამდგომლად ყოფილა და არც რამე დამოკიდებულება ჰქონია მათ შორის საქმესთან; მხოლოდ რაც შეეხება „მეორე გლეხს", იმავე ჯანუაშვილისაგან განთავისუფლებულს, არც ამ საქმეში უხმარია შუამდგომლობა და მომრიგებლობა, მხოლოდ რჩევა კი მიუცია ამ გლეხისთვის მორიგებით გათავისუფლებულიყო, ვინაიდან თვით გლეხის ინტერესებისთვის უმჯობესი იყო, მებატონისთან დამოკიდებულ განსაკუთრეთი პირობებისა და საბუთებისა გამო. (ეს გლეხი ფრუიძის ნათლიმამაა და, როგორც ნათესავისთვის, მის სასარგებლოდ მხოლოდ რჩევით უმოქმედია). რაც შეეხება „ქ. ლეკიშვილის" მოქმედებას, გამოირკვა, რომ ის შეცდომაში შეიყვანა სხვა და სხვა პირმა, გარემოებამ და საბუთის გაუცნობლობამ, რომ „ქ. ლე-

---

ის ბაგეში და რაიც უფრო წითელი არიან, ვიდრე ვარდნი, ასე წითელი არ არიან. შენი ბაგე უწითლესია ფერით იმისა, ვინც ყურძენსა სწურავს საწნახელში. იგი უწითლესია ფერხთა მტრედებისა, რომელნიც ტაძრებში ცხოვრობენ და რომელთაც ქურუმნი ჰკვებავენ. იგი უფრო წითელია, ვიდრე ფეხი იმისა, ვინც ბრუნდება ტყითგან, სადაც მან ლომი მოჰკლა და იხილა ოქროს ერი ვეფხვნი. შენი პირი—ეს მარჯანის ტოტია, რაიც მეთევზეებმა ნახეს ზღვისა ბნელეთში და გადინახეს მეფისათვის. იგი—ვით სანგურია, რასაც ნახულობენ მოაბელნი მოაბის მაღაროებში და რომელსაც მათ მეფენი ართმევენ. იგია, ვით მშვილდი სპარსეთის მეფისა, სინგურით მოვარაყებული და მარჯნით ბოლომოჭედილი.. არა არის რა ქვეყანაზე ისეთი, რაიც ისე წითელი იყოს, როგორიც შენი ბაგე.. მოდი, მინდა გადაგიკოცნო შენი ბაგე..

ამფერ ყვავილებით შლის მშვენიერი სალომე თავის პირველშვებულ სიყვარულს. მაგრამ იოქანაანი ყოველს ამ ყვავილს მას უკანვე გადაუგდებს. და მედიდური სალომე საშინელი გრძნობით ეუბნება უკანასკნელად: მე ვაკოცებ შენს ბაგეს, იოქანაან! და სიკვდილის შრიალი ირიელის სულს თან გაიყოლებს: იგი თავს იკლავს. იოქანაანი ისევ აში ბრუნდება..

აწ კი სრულიად გაიშლება სალომეს ვნება და შელახული სიყვარული. სანადიმო დარბაზიდან გამოის ჰეროდე ცოლის თანხლებით. იგი დაეძებს მეფის ასულს სალომეს. და ისიც ხედავს მთვარეს, ახლა სხვარ შეცვლილს: იგი გატიტვლებულა, ღრუბელს სამოსლად არ იკარებს, თითქო მთვრალი ქალია, საყვარელს რომ დაეძებს. და სალომეც ხომ ამგვარი ძეწნითაა მთვრალი, ჰერში გაისმის რაღაც იდუმალი შრიალი, დიდი ფრინველის ფრთებით მონაბერი. ესეც ცუდი ნიშნებაა. ჰეროდე ვნების სიოს მიჰყვება. „შესვი ღვინო, სალომე; დაასველე შენი მშვენიერი ტუჩები და მერე დავცლი მე ფიალასა; იგემე ხილი, სალომე, დააჩნიე მას შენი მშვენიერი კბილები და მერე შევსჭამ მე ნაყოფსა", ემუდარება იგი სალომეს, მაგრამ მეფის ასული უარობს: მას არც ღვინო სწყურია და არც ხილი უნდა. ხმა იოქანაანისა კი ისევ იმ ჰანგს ამოიძახის, ჰანგს მესიას მოსვლისას და ქვეყნის განახლებისას. და ამ ხმაზე იწყება დაუსრულებელი ყბედობა იუდეველთა... ხოლო ვნება თავისას განაგრძობს. „იცეკვე ჩემთვის, სალომე, ნახევარ სამეფოს გაჩუქებ, სალომე, თუ ჩემთვის იცეკვებ". სალომე სთანხმდება: მას ფეხს ქალამანს გხდიან, ნელსაცხებელსა და შვიდს ჩადრს მოართმევენ,—და იგიც იწყებს შვიდი ჩადრის ცეკვასა. ჰო, ეს ცეკვა! ჟინის ამშლელი, წყურვილის მშობელი, ზეაღმაფრენი, ვნებით მწველი. სხეული სიტყვაა ბუნებისა, მისი საუცხოვო გამოთქმა, და ცეკვა—ეს ბუნების სიტყვის, მისი სტიქიონის გაგებაა უზენაესი მიხვედრა. და სალომეც შვიდ ჩადრად აშლის ვნებით ათამაშებულს ალს. და მთვარეც, ეს გრძნეულთა გრძნეული, ამ ალით ილებება: იგი იქცა წითელი, ვით სისხლი,—წარმოსთქვამს ჰეროდე. და სამართლიანად: სალომე ვერცხლის თეფშზე იოქანაანის მოკვეთილს თავს თხოულობს.. თხოულობს შეურყეველად: ვერავითარი დაპირება ვერ ათქმევინებს მის თხოვნაზე უარსა. და სრულდება მისი ჟინიც: ვერცხლის თეფშზე იგი ხედავს მოკვეთილს თავს იოქანაანისას. „ახ, რათ არ შემომხედე შენ, იოქანაან? შენს ხელებს იქით, შენს გრძობას იქით შენ სახე დამალე შენა. შენ აიფარე თვალები მისი სახვევით, ვისაც სწყურია ხილვა თავისი ღმერთისა, და აი, შენ იხილე იგი, შენი ღმერთი, იოქანაან, და მე... მე... მე შენ არასოდეს არ გიხილავარ, შენ რომ შემოგეხედნა ჩემთვის, უთუოდ შემიყვარებდი. მე გიხილე შენ, იოქანაან, და მე შემიყვარდი შენ. ოჰ, როგორ შეგიყვარე მე შენ!.. დ კიდევ ისე მიყვარხარ შენ, იოქანაან! მე მიყვარხარ მხოლოდ შენ! მე მწყურია შენი სილამაზე, მე მშია შენი სხეული. და არც ღვინოს და არცა ხილს არ ძალუძს მომიკლას ჩემი სურვილი. რა უნდა ვქნა მე ახლა, იოქანაან?! არც მდინარეთ და არც დიდწყალთა არ ძალუძსთ დააცხრონ ჩემი ვნება. მე ვიყავ მეფის ასული, შენ უარმყავი მე. მე ვიყავ ქალწული, შენ წამართვი მე ყმაწვილობა. მე ვიყავ უმანკო, შენ მესხი ცეცხლი ჩემს ძარღვებში... ახ, ახ! რატომ არ შემომხედე მე, იოქანაან? შენ რომ ჩემთვის შემოგეხედნა, უთუოდ შემიყვარებდი მე. საიდუმლოება სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე საიდუმლოება სიკვდილისა".. და აი, სალომეც კოცნის მის ტუჩებს.. ჰეროდეს ბრძანებით იგი გასრისეს: სალომე დააკვდა იოქანაანის გაცივებულს ტუჩებს...

დიახ, საიდუმლოება სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე საიდუმლოება სიკვდილისა. ეს უცხაური ჭეშმარიტება სიტყვის სიმფონიაში გადმოგვიშალა უაილდმა.. ის, რომ სიყვარული და სიკვდილი ერთი მეორეს არიან გადაჭდობილნი დ სიყვარულის უშვენიერს ასულს თანსდევს ყოველთვის საშინელი აჩრდილი სიკვდილისა. არავინ არ ფიქრობს იმდენს სიკვდილზე, როგორც შეყვარებული. კიდევ მეტი: არავინ არ გრძნობს ისე სიკვდილის საშინელებას, როგორც შეყვარებული. და რა გასაკვირია, რომ იგოძხოს?! იგი შეუერთდა თავის სატრფოს და მით ეზიარა მთელს მსოფლიოს; მან მოსპრა თავის ობლობა და მასთან ერთად იგრძნო უკვდავება.. და აი, ამ დროს შეუდრეკელი და გულცივი ჩონჩხი სიკვდილისა უქადის მას საშინელის ცელით მათის სიყვარულის ყვავილის მოცელვას, მათს გაშორებას, მათს გაქრობას უგრძნობელ ნირვანაში, მათს დაღუპვას ბნელეთით მოცულს სამყაროში! და შეყვარებულთა ნეტარ გრძნობას მარად და მარად სწამლავს საშინელი ფიქრი სიკვდილისა. დიახ, შეყვარებულნი ყველაზე უფრო მეტს ფიქრობენ სიკვდილზე. და მრავალჯერ არა თუ ფიქრობენ, ხანდახან ვეღარც კი უძლებენ ამ ფიქრის საშიშროებას და ერთად ისპობენ სიცოცხლეს, ერთად ერთვიან იქითა მხარეს ქვეყნიურს არსებობისას, სადაც ყველაფერი ღამის წყვდიადშია გახვეული.. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ერთი კვდება და მეორეც თან მიჰყვება. რათა? რათა და მისთვის, რომ პირველმა თან წაიღო მეორის სული, მის არსებობასთან ნარნარი ძაფებით შექსოვილი, და ეხლა უსულო სხეულსაც იწვევს მკვდარის ხელით საფლავიდანა.. ყოველდღიური სიფხიზლით ეს მოვლენა ჩვენ გიჟობად გვეჩვენება; მაგრამ ეს თუ სიგიჟეა, მაშინ ყოველი მშვენიერი და ზეაღმაფრენი წამი, წამი მუსიკით დ პოეზიით თრობისა, წამი თავის თავის მსხვერპლად შეწირვისა, ყოველი ეს სიგიჟე ყოფილა.. სიყვარულს თანსდევს აჩრდილი სიკვდილისა, როცა იგი უბედურ შეხვედრათ იქცევა. იკლავს თავს მრავალჯერ უბედურათ შეყვარებული. მის მიერ ალინიშნულმა სატრფომ უარჰყო მისი სიყვარული, უარჰყო მისი „მე", მას აღარ ძალუძს სხვასთან ერთყობა, და ეულად და ობლად მოვლენილი ეულადვე და ობლადვე ეთხოვება წუთის სოფელსა.. ესეთია სიყვარული და სიკვდილი, მისი მუდმივი თანმყოლი. ხოლო „საშინელი საშინელება" წარმოიშვის მაშინ, როცა შეყვარებული ჰკლავს მისი სიყვარულის უარმყოფელსა, და ასეთი საშინელების მოვლენაა მეფის ასული სალომე. ოსკარ უაილდი ღრმად დარწმუნებულია, რომ ის, ვისაც უყვარს, უთუოდ ჰკლავს. ჰკლავს ყოველი შეყვარებული,—ამბობს ის ერთს თავის ბალლადაში: ერთი მოჰკლავს მკაცრი შეხედვით, მეორე სატყუო სიზმრით; მხდალი მოჰკლავს ცრუ კოცნითა და გამბედავი ხმლითა. აქ რაღაც საიდუმლოებაა დამარხული, და ამ საიდუმლოებას ყოველი ენა გვამცნევს: მაშ, რას ნიშნავს ეს სიტყვები: დაგახრჩობ ტრფობით. მოგკლავ სიყვარულითაო და სხვა? ინსტიქტიური გრძნობა ენისა უფრო ძლიერია, ვიდრე შეცნობილი აზრი ადამიანის გონებისა, და სწორედ ეს ინსტიქტიური გრძნობაა „სალომეში" გატარებული. სალომე ჰკლავს მისი სიყვარულის უარმყოფელსა. რათა? რათა და ძლიერ შეიყვარა! აი, უბრალო მაგრამ ნამდვილი პასუხი. ასეთი ბოლო საბედისწერო აუცილებლობით უნდა მომხდარიყო. სალომე ხორცსხმული სახეა მთელი წარმართული ხანისა: სხეული და სხეულების კულტი, ვნება და ვნებატკბობის რელიგია,—აი რა ახასიათებს ამ ხანას; და ყველა ეს წარმართი მშვენიერებით არის ხორციელებული სალომეში. ხოლო იოქანაანი სულ სხვა ხანის წინამორბედია: სული და სულიერების კულტი, ზეგრძნეულება და ზეგრძნეულების რელიგია,—აი, რა ახასიათებს მომავალ ხანას; და ყველა ეს კლდის სიმტკიცით არის ნაკვეთი იოქანაანში. ძლიერია სხეულის ნება სალომესი, მაგრამ არა ნაკლებ ძლიერია სულის ასკეზი იოქანაანისა; ღრმაა ვნებული სიყვარული სალომესი, მაგრამ არა ნაკლებ ღრმაა ზეგრძნეული სიყვარული იოქანანისა. სალომე—ეს ზღვაში აძოვარდნილი ქარიშხალია, რომელიც თავის გიჟური ვნებით ყოველს ზღუდეს გარდალახავს; იოქანაანი—ეს ტყეში გადავარდნილი გრიგალია, რომელიც შეუბრალებელი სიძლიერით ხავსმოკიდებულს ხეებს ამსხვრევს... და ეს ქარიშხალი და გრიგალი შეხვდენ ერთი მეორეს: ან უნდა შეერთდენ, ან უნდა შეაკვდენ ერთიმეორეს... და სალომე და იოქანაანი სწორედ რომ ერთიმეორეს შეაკვდნენ. სალომე მრავალფეროვან და სურნელოვან ყვავილებად უშლის მას თავის სიყვარულს: აქ შროშანაცაა, ნარგიზიც, იასამანიც და ყაყაჩოც; იოქანანი კი უკანვე უგდებს მას ყვავილებს... რა უნდა ეგრძნო სალომეს? ერთგვარი შეურაცხყოფა სიყვარულისა. და მის უსაზღვრო სიყვარულში ნელინელ ერთგვარი სიძულვილიც იქსოვება... აბა, მიაქციეთ ყურადღება: „მე მიყვარს შენი ტანი"—და სალომე ქებას ასხამს ამ ტანსა; იოქანაანი უკუაგდებს ყველაფერს, და სალომე საზიზღრად იჩვენებს იმავე ტანსა, თუმცა იოქანაანი მაინც უყვარს: იგი ეხლა თმასა, შემდგომ ტუჩებს შეასხამს ქებათქებას.. ნამდვილად აქ მარხია ის საიდუმლოება, რომ სიყვარული შეიძლება გახდეს სიძულვილის წყაროდ. და მეფის ასული სალომე, რომლის ყოველი წადილი სრულდებოდა, ვერ ისრულებს ერთს ცხებიან ნდომას, რომ აკოცოს იოქანაანის ტუჩებს. და მოითხოვს იგი მოკვეთილს თავს იოქანაანისას, და ჰკოცნის იგი მის ცივს ტუჩებს, და ჰგემობს იგი სიტკბოსა და სიმწარეს სიყვარულისას. ყველაფერი გარდაილახა: ლამაზი სხეულიც და მაღალი სულიც, და რჩება მხოლოდ ნაღველი მათის მომავალის შეერთებისათვის.

გრიგოლ რობაქიძე.

(დასასრული იქნება)

კიშვილი“ სიმართლისა და გლეხების ინტერესების დასაცავად მოქმედობდა, მხოლოდ სამწუხაროდ დაუკვირებლობით და გამოუცდელობით მიუყენებია უსიამოვნება სამსონ ფრუიძისათვის.

განაჩენი ესე ეგზავნება გაზ. „იმერეთის“ რედაქციას და ეთხოვოს ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთს გადაბეჭდონ.

მედიატორენი; **ვახილ თვარაძე, ერემია კაპანაძე, კ. ბერუჩაშვილი.**

1913 წელი, 9 ივნისი.

თეატრი და ხელოვნება

18 მაის ქიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა საღამო. საღამოს დიასახლისებად იყვნენ ქქ. ეკატერინე ოთხმეზურისა და ნინო წერეთლისა.

საღამო კარგი გამოდგა. კანსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა ნიჭიერი მომღერალის სანდრო კავსაძის ლოტბარობით მომღერალთა გუნდი ქალებისა და ვაჟებისა. სცენა მოწყობილი იყოფანჩატურით სხვადასხვა განყოფილებისათვის. თვით თეატრი კი—ფოთოლ-ყვავილებით.

ქიათ. ქართ. დრამატ. საზოგად. გამგეობა მადლობას უხდის: სანდრო კავსაძესა და მის გუნდს, რომელმაც თავისი მშვენიერი სიმღერით დაატკბო საზოგადოება; დიდად პატივცემულ დიასახლისებს ქქ: ეკ. ოთხმეზურისას და ნ. წერეთლისას და ყველა მას, ვინ ხელი შეუწყო საღამოს გამართვას. შემოსავლის ანგარიში: გაიყიდა ბილეთები 379 მ.: განყოფილებებიდან: ყვავილებისა 11 მ. 20 კ., ჩაისა 17 მ. 25 კ., ფოსტისა 35 მ. 65 კ., ტკბილეულობისა 126 მ. 65 კ., ბედის ქვევრისა 75 მ. 90 კ., მარჩიელისა 25 მ. 50 კ., წიგნების—„ილიას დღე ქიათურაში“—18 მ. 35 კ., ბანქოს სათამაშისა 41 მ. 40 კ., ბუფეტისა და ვახშამის 334 მ. 76 კ. შემოწირულებით 80 მ. სულ—1145 მან. 66 კ.; გასავალი: ჩაისა, ფოსტისა, ტკბილეულობისა, ბანქოს სათამაშოისა და ბუფეტ-ვახშამისა 391 მ. 33 კ. და მოწყობაზე, მუსიკაზე, ზურნაზე და მარკებზე 254 მ. 22 სულ—645 მ. 55 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 500 მ. 11 კაპ.

ამასთანავე გამგეობამ თავმჯდომარეს დაავალა: მადლობასთან ერთად. გარდასცეს სახსოვრად ნიშნები „ქნარი“ დიასახლისებს ქქ: ე. ოთხმეზურისას და ნ. წერეთლისას.

თავმჯდომარე ქიათ. ქარ. დრ. საზ. გამგეობისა **სოფ ტარუაშვილი.**

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

15 თიბათვე.

უცხოეთი.

სალონიკი. ბერძნებმა გასჩხრიკეს ბულგარელთა სადგომები და აღმოაჩინეს იარაღი და ასაფეთქებელი მასალა.

ლონდონი. „დეილ-ტელეგრაფს“ ბუქარესტიდან ატყობინებენ, რომ რუმინიამ შეუთვალა ბულგარეთს: თუ სერბიასთან ომი გამოგიცხადებია, ომს გამოგიცხადებთო. რუმინიამ მობილიზაცია გამოაცხადა და ჯარი საზღვრისაკენ მისწია. იმავე გაზეთს ატყობინებენ: ზლეტოვის მიდამოებში სერბია-ბულგარეთის შეტაკება არ შეწყვეტილაო. ბულგარელებს ღამე მიუვიდათ მაშველი ჯარი. ბრძოლა დილამდე გაგრძელდა. ბულგარელებმა დაჰკარგეს 377 ჯარისკაცი და 51 ჩეტნიკი, დაჭრილთა რიცხვი 600 უდრის. სერბიელებმა დაჰკარგეს 188 კაცი, დაჭრილთა რიცხვი 400 უდრის.

ვენა. ბიუჯეტის შესახებ კამათის დროს გრაფმა ჩერკინმა სთქვა: თუ ავსტრია აგრძნობინებს ბალკანეთსა და პეტერბურგს, რომ ავსტრია ყოველ ღონისძიებას მიიღებს რათა დაიცვას თავისი უუსაჭიროესი ინტერესები და თუ ავსტრია ეცდება გააუმჯობესოს დამოკიდებულება სერბიასთან და სამხრეთ-სლავიანთა საკითხსაც ეკონომიური თვალსაზრისით გადასწყვეტს, მაშინ აღარ გვექნება პესიმიზმისათვის საბაბი და კიდევ შეგვეძლება უფრო იმედიანად შევხედოთ საკითხს. თავ. შვარცენბერგი ამბობს, რომ საგარეო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს მონარქიის შინაგან საქმეებზე. სერბიის ურთიერთობაში დათმობის პოლიტიკის განხორციელება უადგილოა. თუ საჭიროებამ მოითხოვა, ძალაც უნდა ვაჩვენოთ მას. ბერნ-რეიტერი აღნიშნავს რუსეთის გავლენას ბალკანეთის სახელმწიფოებზე, აგრეთვე სერბიის იმედ დაკარგულებას და საჭიროდ მიაჩნია საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიდი ყურადღება მიაქციოს ამ მდგომარეობას. მომხსენებელმა პლენერმა სთქვა: ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ არა მარტო ნაციონალისტური გრძნობებით გაჟღენთილი რუსის ინტელიგენცია, არამედ ოფიციალური რუსეთიც მონაწილეობს იმ მოძრაობაში, რომელიც რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკურ ინტერესთა წინააღმდეგობას თავის პოლიტიკურ მსოფლმხედველობის ქვაკუთხედად სთვლის. თუმცა არ არის აუცილებელი დიდი ომი, მაგრამ მაინც შესაფერი ყურადღება უნდა მიექცეს ამ გარემოებას. ამიტომ სამხედრო უწყებისათვის მისაცემი თანხა უნდა გავაძლიეროთ. ჩვენ ყველას გვინდა მშვიდობიანობა, მაგრამ შეიარაღებული უნდა ვიყვეთ, რომ, მეგობართა ნდობა მოვიპოვოთ და მტერს კი ჩვენდამი პატივისცემა ჩავუნერგოთ. დროებითი ბიუჯეტი, ამ სიტყვების შემდეგ, მიღებულია.

ბერლინი. რეიხსტაგი. სამხედრო კანონ-პროექტის მესამედ კითხვის დროს სოციალისტმა შეიდემანმა, მილიტარიზმის წინააღმდეგ ლაპარაკის დროს, გერმანიის შეიარაღების პროვოკატორი-აგენტი უწოდა. იმპერიის კანცლერმა მკაცრად უპასუხა სოციალისტებს და უარჰყო, ვითომც გერმანიას თავის სამხედრო კანონ-პროექტით უნდა ომი გამოიწვიოსო. კანცლერმა სთქვა: გერმანიას არა სურს მტრების შეძენა, მისი განზრახვაა—ყველასთან მშვიდობიანი განწყობილება და მეგობრობა ჰქონდეს. ეს დამტკიცებულია დიდი მშვიდობიანი პერიოდით. ყველამ იცის ისტორიული ჭეშმარიტება—ციხე საუკეთესო საფარია. ხალხმა იცის, რომ ჩვენი ძლიერებით იზრდება მისი კეთილდღეობაც. კანცლერს სიტყვას აწყვეტინებდნენ ხოლმე, მემარჯვენენი ტაშით, სოციალ-დემოკრატები წამოძახებით.

ათინა. ბულგარელებს უნდოდათ გადასულიყვნენ საბერძნეთის ნეიტრალურ ფარგალზე, მაგრამ ბერძნებმა სროლა აუტეხეს და უკან დაახევინეს.

სტამბოლი. სინოპს გაჰგზავნეს 50 კაცი, მათ შორის ბევრი პოლიციაშია ნამსახური.

გარდაიცვალა სულთანის მეორე შვილი მეჰმედ-ედინი.

ბელგრადი. კალკუტიდან იტყობინებიან, რომ რამდენიმე ინდუსი, საზოგადო-საკულტურო საზოგადოებათა წევრები, ყუმბარით მოჰკლეს კალარიაში.

სოფია. რუმინიის მობილიზაციის გამო ოფიციოზი „მირ“-ი სწერს: „ბულგარეთმა უეჭველად დაამტკიცა, რომ მას სურს მშვიდობიანობა იქონიოს რუმინიასთან. რუმინიის საქციელი გაუგებარია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რუმინია არ ჩაერევა სერბიისა და ბულგარეთის შორის ამტყდარ დავაში“.

არდი სეიმში არჩევნები გათავდა. გრაფ ტისა ხელმეორედ არჩეულია 907 ხმის უმეტესობით.

სოფია. თაზაოსის კუნძული ცეცხლითაა მოცული. ცეცხლი წმ. გიორგის კონცხიდან მოედო კუნძულს. კონცხზე ბერძნებმა განზრახ გაუჩინეს ტყეს ცეცხლი.

რუსეთი.

პოლტავა. სოფელ ვარვაროვკის მახლობლად ჩამოვარდა ჰაეროსტატი; ჰაეროსტატს კალათი არ ჰქონია.

ეკატერინოსლავი. რკინის გზის მატარებელი გააჩერეს ბოროტგამზრახველებმა და 20 მგზავრი გაძარცვეს.

პეტერბურგი. სათათბიროს თავმჯდომარეს, სათათბიროში წესიერების დასაცავად 11 პარაგრაფის ძალით, აუკრძალავს „ზემშჩინის“ რედაქტორის ელინკა-იანოვსკისათვის და იმავე გაზეთის თანამშრომლისათვის სათათბიროს დარბაზში შესვლა.

პეტერბურგი. 12 ივნისს მინისტრთა საბჭომ განიხილა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან შეტანილი, ბეჭვდითი სიტყვის წესების პროექტი. მინისტრთა საბჭომ უპირველესად ყოვლისა მიიღო მხედველობაში, რომ უმთავრესად ბეჭვდითი სიტყვის რეფორმა უნდა გამოიხატებოდეს: პირველად იმით, რომ ბეჭვდითი საქმე უნდა იქნეს დამყარებული კანონზე, მეორე, რომ პრაქტიკულად განხორციელებული იქნეს პრინციპი ბეჭვდითი სიტყვის დანაშაულობისა სასამართლოს წინაშე, მესამე: რომ შემუშავებული იქნეს ღონისძიებანი, რომელთაც შეეძლოს დაიფაროს სახელმწიფო და საზოგადოება ბეჭვდითი სიტყვის ბოროტგანზრახვისაგან. ამათ განსახორციელებლად საბჭო ჰფიქრობს, რომ ბეჭვდითი სიტყვის დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელი უნდა გადიდდეს; სასამართლოში საქმეები ბეჭვდითი საქმის შესახებ საჩქაროდ უნდა გაირჩეს. ასეთი საქმეები შემოკლებული წესით უნდა განიხილონ ხოლმე. დიდ ქალაქებში სასამართლოს შტატები გაძლიერებული უნდა იქნეს, რომ საქმე, რაც შეიძლება მალე გაირჩეს. წარმოდგენილ პროექტის განხილვის დროს საბჭომ შემდეგი სცნო საჭიროდ: შინაგან საქმეთა მინისტრის განზრახვა, წინასწარი განცხადების წესის შესახებ ისე უნდა შემუშავდეს, რომ მისი ყველა ქალაქში დაკანონება შეიძლებოდეს. სასულიერო წინასწარი ცენზურა უარჰყო საბჭომ, მხოლოდ სასულიერო წიგნების გამოცემის უფლება უნდა მიეცეს კანონით მხოლოდ უწმ. სინოდს. საბჭომ შესცვალა განზრახული წინასწარი კანტროლი და საჭიროდ სცნო, რომ სტამბის გამგემ გამოცემა დამზადებისთანავე წარუდგინოს ადგილობრივ სათანადო დაწესებულებას, მხოლოდ ამითი გამოცემა არ უნდა დაბრკოლდეს. ბეჭვდითი სიტყვის ზედამხედველ ორგანოს ნება ეძლევა, თუ რამე უკანონო დაინახა გამოცემაში, დააკავოს და პასუხის გებაში მისცეს დამნაშავენი. გამოცემის დაჭერის საქმე მაშინვე უნდა წარედგინოს სათანადო სამოსამართლო დაწესებულებას. რედაქტორისა და გამომცემელის პასუხისმგებლობის შესახებ საბჭომ სცნო, რომ უკეთესი იქნება პასუხისმგებლობის უპირატესობა რედაქტორს ჰქონდესო. საბჭომ მოიწონა ის აზრი, რომ გამოცემათა ჯარიმა გადიდდეს.

მთავრობის გამოცემათა შესახებ კანონ-მდებლობა უცვლელად რჩება. ადმინისტრაციისაგან გამოცემათა დაჯარიმება უნდა მოისპოს და დარჩეს მხოლოდ იქ, სადაც საგანგებო ან სამხედრო წესები არსებობს. მინისტრთა საბჭომ დაადგინა: გადასცეს პროექტი შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს დამატებით შესამუშავებლად და მომავალ შემოდგომის სესიაში წარედგინოს იგი სახელმწიფო სათათბიროს.

კრონშტადტი. სახელმწიფო სათათბიროს წევრები ფილიანდიის წყლებისაკენ გაემგზავრნენ.

შემოწირულება

ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოებამ 26 მაისის სეირნობისათვის შემოწირულება მიიღო: (ნ[illegible] ხელით): 1) ილიკო კვინიხიძისაგან—50 კ., 2) გაბელაშვილისაგან 1 ვაზა ყვავილებისა, 3) ბარამიძემ—1 საზაფხულო შარფი, 4) რევაზოვმა—ჩაი 5 კ., 5) მაისურაძემ სერ. 20 კ., 6) ცალქალამიძე—1 ყუთი ბამბან., 7) ილია ჩუბინიშვილმა—1 მ., 8) რევაზოვმა ანნა—ხილის ვაზა, 9) თუმანიშვილმა—სურათი, 10) ნინო [illegible]აბაძემ ორი ალიბასტრის თეფშში ყვავილით, 11) გარსევანიშვილისაგან—30 კ., 12) ან. [illegible]ნაშვილმა—სურათის ჩარჩო, 13) ვ. თუმშელაშვილმა—12 ცალი ღია ბარათი, 14) გიგოშვილმა არ.—6 უბრალო ბროშკა, 15) ალ. ენუქიძემ—50 კ., 16) (ეკატერინე და ელენე კარიჭაშვილების ხელით): 17) მარიამ ლოლაძემ—1 ფინჯანი, ორი დიდი სურათი, 12 პატარა სურათი, 2 დიდი სურათი, 18) გაიანე შოვგარიანცმა—1 ბოთლი ღვინო, 19) ნად. გულიაშვილმა—კედლის სამი თეფში დასურათებული, 20) მარიამ ცხომელიძემ—1 ჯამი შუშისა, 21) ელენე კალანდარიშვილმა—ხელოვნური ყვავილი, 22) კუპია კარიჭაშვილმა—სურათი, 23) მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურიან-ორბელიანმა—სერვიზი საუზმისათვის ფრაქესი, ვაზა, 24) დავით გამდლიშვილისაგან, ბალდადი აბრეშუმის, და ხის თეფში დახატული, 25) თებრონია ქელბაქიშვილისაგან ერთი ძეწკვი ხელისა, 26) ნინო დავითის ასული ქიქოძემ სასუხრე, ლამპის დასადგმელი, 27) კესარია ბოკერიამ—3 ვაზა, 1 სასუხრე, 28) თინათინ გიორგის ფორაქიშვილისაგან, 1 დიდი ბალიში, 1 მუთაქა, 1 პატარა ბალიში, 1 ბალიშის პირი ნაკერი, 1 ნაკერი ბალიში ქინძისთავებისათვის, 8 არშინი მატერია, 1 ხილის სალფეტკი, 2 ყვავილების ვაზა, 1 კედლის მოსართავი თეფში, 1 პატარა ლამპა, 2 მურაბის ვაზა, 1 ლამპის აბაჟური, 1 საფერფლე, 1 ფინჯანი, 1 შპილკების ჩასაწყობი ბროლისა, 1 სტოლის ვაზა, 1 სათამაშო, 1 ხელის საპონი; 29) ნიკოლოზ ვაჟიკაშვილისაგან—10 ბოთლი ღვინო, 30) ვანო გუნდიაშვილმა—სურათი, ქალის მოტაცება ლეკებში.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

სნეულებს
სპერმინ-პელია!

სპერმინ პელითი მარგებელ **ავადმყოფებს** ხშირად ატყუებენ მყვირალა რეკლამებით ესლეულების სითხეებზე, ამასთანავე ამ რეკლამებში გასაოცარი უსირცხვილობით ამახინჯებენ ფაქტებს და მოჰყავთ და ასაბუთებლად უცხოელ მეცნიერთა სახელები და შრომანი, რომელთაც **თავის დღეში არ უნახავთ მათი პრეპარატები.** ჩვენ მოვალეობად ვსთვლით, გავაფრთხილოთ ავადმყოფნი მოტყუებისაგან, რადგანაც მათ პრეპარატებს **საერთო არა აქვთ რა „სპერმინ-პელიასთან“** და ხშირად შეიცავენ ჯანსაღობისთვის მავნე ნივთიერებას.

ბრძოლაში: **ნევრასტენიასთან, სქესობრივ უძლურებასთან, მოხუცებულთა სიმჩატესთან, ისტერიასთან, ნერვალოგიასთან, სისხლნაკლულებასთან, ჭლექთან, სიფილისთან, ვერცხლის წლით წამლობის შედეგებთან, გულის ავადმყოფობასთან, (გადაჭრბებული სიმსუქნე, გულის კლეროზი, გულის ფრიალი, გულის-ცემა, მიოკარდიტი), არტერიო სკლეროზთან, ლოთობასთან, ხერხემლის გამოფიტვასთან, სიდამბლესთან, ავადმყოფის შემდეგ სისუსტესთან, დაქანცულობასთან და სხვ.,** მხოლოდ **სპერმინ პელიამ** მიაღწია ჩინებულ შედეგებს, რასაც ჰმოწმობენ მთელ მსოფლიოს მეცნიერნი და მკურნალნი.

✦ საჭიროა ყურადღება მიაქციოთ სახელზე **„სპერმინ-პელია“** ✦ და უკუჰყაროთ ყოველგვარი სიყალბე და სითხეები სხვა და სხვ. სახელებით, რომელთა მავნებლობაზე ცალკე ბროშურაა გამოცემული; ბროშურა უფასოდ ეგზავნებათ „სპერმინს“ ახალ ლიტერატურასთან ერთად.

„სპერმინ-პელია“ იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

ორგანოტერაპევტის ინსტიტუტი **პროფეს. ექიმი „პელი და შვ-ბი“.**

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის **სასახლის კარის მოვაჭრე.**

Метцль. 69730. **ს.-პეტერბურგი.** 1188

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
- 1—2 **გ. ა. გედევანიანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
- 3—4 **გ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
- 5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
- 6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 745).
- 8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
- 10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

მასწავლებელი
ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.

ვერა, იზმაილოვის მიახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

ექიმი **ზ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 5 ნახ.–8 ნახ. საათ. კათის ქ., № 6.

ექიმი კბილის **ა. გ. ზოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9–2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

ექიმი **ა. ნ. ღიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

თელავში

კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

გთხოვთ წაიკითხოთ!!
ახალი ამბავი!!
ოთახის „საგორავებელი მაგიდა“
„სანიტარი“
ყველა ქვეყანაში აღებულია
პატენტი.
ყოველ ოჯახში ფრიად საპრაქტიკო და აუცილებელია.
ვარშავა მ. კელესინსკი
ბურაკოვის ქუჩა № 15.
პირველ მოთხოვნილებისათანავე პრეისკურანტი უფასოდ გაეგზავნებათ.
M. 31943 1231.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1. 2—9 3. **ფომინა-თხიპთვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 547).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **გ. ა. მირბეჭოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიგის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

მემ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

მ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ
კ. მ. ჩიქოვანი: 9½–10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10–12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. განი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **მ. ა. ნავასარდიანი.** 1004

ვასწავლი

ქართულ **„სიმღერა-გალობას“** და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზედ, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით, ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე. ავჭალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც.** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში,** სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 349.

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“,

ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოველ მხრივ დაწესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29°/0 და 35°/0, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.

1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
ისყიდება იაკობ გოგებაშვილის წიგნები:

ასპინძის ომი	ფასი	7 კ.
ბურჯი ეროვნებისა	„	20 „
იავნანამ რა ჰქმნა?	„	5 „
თავდადებული ქართველნი	„	7 „
მოსავლის მცველნი	„	20 „
მეფე ერეკლე და ინგილო ქალი	„	5 „
რანი ვიყავით გუშინ?	„	20 „
რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები	„	1 მ.
საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა	„	10 „
სხივი წარსულისა	„	5 „
თავდადებული ქართველი ეჯიბი	„	5 „
საარაკო თავ-გადას. ტახტის მემკვიდრისა	„	10 „

Мотодика къ русскому Слову	„	40 „
Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку	„	50 „
Нормальное письмо	„	20 „
Правда о Тифлисѣ	„	20 „
О груз. и русскомъ алфавитахъ	„	20 „
Какъ улучшить кавк. народ шк.	„	20 „
Къ вопросу о мингрель. школѣ	„	20 „
Государственный языкъ	„	30 „
Очеркъ сравнит грамматики груз. и русск. языковъ	„	20 „
Къ вопросу о поднятіи уровня образованія среди грузинскаго дворянства	„	50 „
ახალი წიგნები:		
ა. მაწვლო მოთხრ. ე. გაბაშვილისა	„	30 „
იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად	„	75 „
ილია ჭყონიის ნაწერები	„	1 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

მოითხოვეთ სწორი და მკვიდრი საათი!
სხვა რაც ფასიან საათებს ნუ გამოუდგებით!
კარგსაათს ყოველთვის შერჩება თავისი ღირებულება.
—✦ პარიზის უკანასკნელი ახალი ამბავი! ✦—

საათი „ქრონომეტრი“-ს სისტემისა 5 მ. 25 კ.

200 მანეთიან ოქროს საათის მაგიერი, გირჩევთ **„ქრონომეტრს“**, რომელიც მოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროსას არ ჩამოუვარდება. „ქრონომეტრის“ ლითონის კარგი ღირსებისაა და მის გამძლეობაზე 10 წლის თავდებობას ვკისრულობთ, რადგანაც ელექტრონის საშუალებით მისი სახურავი დაფარულია 14°/0 კარატ. ოქროს სქელ სევადით. ეს საათი ნამდვილი შვეიცარიულია ახალი ოქროსი, კაცებისა თუ ქალებისა ხუფიანი სამი ქვე სახურავიანი, იმართება თავის ზულით 40 საათში ერთხელ, მუშაობს წკრიალით, 15 ქვიანი, პრტყელი, როგორც სურათზე მოსჩანს, ძალიან გავრცელებულია და მთელ ევროპაში მოდებული. საათის ფასი 5 მ. 25 კ. 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ფასები ნაკლები დავადეთ, რადგანაც გვინდა ყველას შევაძლებინოთ მისი შეძენა. გასაგზავნი, ბაჟიანად,—40 კ., (ციმბირში—75 კ.) ყოველ საათს უფასოდ ვაყოლებთ მოხდენილ ნამდვილ ახალ ოქროს ძეწკვს სურვილისამებრ ორკეცს, მედალიონს და ზამშის საათის ბუდით. საათს წუთი-წუთზე შესწორებულს ვგზავნით 6 წ. თავდებ., ფასდადებ. და უბედ.

Берлинъ 35 I. STRUMFELD
Berlin Klosterstr. № 42.

მისამართი შეიძლება ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ ღია წერილს ან კონვერტს. საათის დაბარება ყველა ენაზე შეიძლება. დახურ. წერილს 10 კ. მარკა სჭირდება, ღია წერილს კი 4 კ.

მეტცლ. № 61483. 1579

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგრელოვები.

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სულდაკი.
ახალი მხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა |ქიტკა|

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა და კონსერვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.